www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ხუთშაბათი, 28 ნოემბერი, 2013 წელი. | №3417 (224) | ფასი 50 თეთრი

იანუკოვიჩი: ევროპისკენ წავალთ, ოღონდ მოგვიანებით

ივა ჭილაკავა

უკრაინის პრეზიდენტმა და პრემიერმა უკვე მკაფიოდ ჩამოაყალიბეს, რომ ვილნიუსში "აღმოსავლეთ პარტნიორობის" სამიტზე ევროკავშირთან ასოცირებისა და თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულებების ხელმოწერა ვერ მოხერხდება. მათი მტკიცებით, მიზეზი ქვეყნის ეკონომიკური პრობლემები და მოუმზადებლობაა. იანუკოვიჩმა ისიც ცხადად თქვა, რომ ჯერ არც ტიმოშენკოს გათავისუფლებისთვის არის მზად, თუმცა ეს ევროპისკენ მიმავალ გზაზე სერიოზულ პრობლემად არ მიაჩნია.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე

მათთვის, ვინც ასოცირების ხელშეკრულებით გვაშინებს

ამ დღეებში ვილნიუსის სამიტისა და უკრაინის მოვლენების ფონზე, ქართულ პრესაში გაჩნდა განცხადებები იმის შესახებ, რომ ასოცირების ხელშეკრულება ევროკავშირთან, რომლის პარაფირებაც ვილნიუსის სამიტზე იგეგმება, საქართველოსთვის შესაძლოა, უარყოფითი შედეგების მომტანი იყოს. ავტორები ციფრებს არ ასახელებენ და კონკრეტულ მონაცემებს არ ეყრდნობიან, მაგრამ ამბობენ, რომ ეს საქართველოს ეკონომიკაზე უარყოფითად აისახება.

ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის" მიზანი არ არის და არც ყოფილა პოლიტიკურ დისკუსიაში შესვლა, თუმცა რადგან ეკონომიკის შესახებ საუბარი ციფრებისა და კონკრეტული ფაქტების გარეშე წარმოუდგენლად მიგვაჩნია, ესაა ინფორმაცია მათთვის, ვინც ასეთი დაუსაბუთებელი შიშების ტირაჟირებას ცდილობს ან ამ მცდელობამ შეაშინა.

გაგრძელება
მე-6 გვერდზე

უმრავლესობამ უკრაინის შესახებ განცხადების მიღება არ ისურვა

ვილნიუსის სამიტის გახსნამდე ერთი დღით ადრე, საქართველოს პარლამენტში ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების პარაფირების საკითხზე უფრო აქტუალური იყო უკრაინაში მიმდინარე პროცესები.

საპარლამენტო უმცირესობის წევრები პლენარულ სხდომაზე უკრაინის სახელმწიფო დროშებით გამოცხადდნენ.

გაგრძელება
მე-2 გვერდზე

ისტორიული სამიტი

ვილნიუსი 28-29 ნოემბერს „აღმოსავლეთ პარტნიორობის" მესამე სამიტს უმასპინძლებს. სამიტში ევროკავშირის ინსტიტუტების უმაღლესი წარმომადგენლები, ევროკავშირის წევრი და „აღმოსავლეთ პარტნიორობის" ქვეყნების (აზერბაიჯანი, ბელარუსი, მოლდოვა, საქართველო, სომხეთი, უკრაინა) მთავრობის მეთაურები მიიღებენ მონაწილეობას.

„აღმოსავლეთ პარტნიორობის" სამიტის ფარგლებში საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების პარაფირება უნდა მოხდეს. ასევე განიხილება პარტნიორობის იმპლემენტაციის საკითხები და წინა სამიტის შემდეგ პარტნიორ ქვეყნებსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობის კუთხით არსებული მიღწევები, დაისახება მომავალი ორი წლის გეგმები. სამიტის შემდეგ შემუშავდება ერთობლივი დეკლარაცია, რომელიც ევროკავშირისა და ექვსი პარტნიორი ქვეყნის საერთო ფასეულობებსა და პრინციპებს ასახავს.

ოფიციალური თბილისის შეფასებით, საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისთვის ვილნიუსის სამიტს ისტორიული დატვირთვა აქვს, რადგან ამ სამიტზე საქართველო და ევროკავშირი „ასოცირების შესახებ შეთანხმების" პარაფირებას მოახდენენ.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ასოცირების შეთანხმება პოლიტიკურ ასოცირებას და ეტაპობრივ ეკონომიკურ ინტეგრაციას ითვალისწინებს და ქვეყნის ევროპეიზაციის პროცესს შეუქცევადს ხდის.

შეთანხმების ტექნიკურ პარაფირებას 28 ნოემბერს საქართველოს მხრიდან, საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე დავით ზალკალიანი და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე მიხეილ ჯანელიძე მოახდენენ, 29 ნოემბერს კი „ასოცირების შესახებ შეთანხმების" პარაფირების ოფიციალური ცერემონია გაიმართება.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

1 აშშ დოლარი	1.6643⇓
1 ევრო	2.2110⇓
1 ინგლისური გირვანქა	2.5933⇓
1 თურქული ლირა	0.8622⇓
100 რუსული რუბლი	5.0433⇓

თბილისი	31°C - 20°C
ქუთაისი	33°C - 20°C
ზუგდიდი	32°C - 21°C
ბათუმი	27°C - 21°C

ნავთობი	3.19	+0.00	+0.16%
გაზი	3.58	+0.11	+3.07%
ოქრო	1,743.20	-9.80	-0.56%
ხორბალი	868.50	+12.25	+1.41%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA
ISSN 1987 9121
9 771987 912100 >

17 და 19-წლამდელები ელიტრაუნდში მეტოქეობს ელიან

გიგა გურასაშვილი

28 ნოემბერს ნიონში, უეფას შტაბბინაში, 2013/14 წლების სეზონის 17 და 19-წლამდე ნაკრებების ელიტრაუნდის წილისყრა ჩატარდება.

ქართულ მხარეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ზვიად სიჭინავა და გენერალური მდივანი რევაზ არველაძე წარმოადგნენ.

გაგრძელება
მე-8 გვერდზე

ელიტრაუნდში 17-წლამდელთა მეტოქეები დღეს გაირკვევა

ახალი წელი მასეო პარკერთან ერთად

The funkiest living saxophonist ever
31 დეკემბერს ზენდთან ერთად დაუკრავს

ია ვეკუა

2009 წლის შავი ზღვის ჯაზფესტივალი.

რამდენიმე კვირაც და წინასაახალწლო ისტერიკა ბოლომდე გახურდება: ქალაქი მანდარინის ნაფრცქვენებით, ასაფეთქებლების მურიანი კვალითა და უკეთეს შემთხვევაში, თოვლით დაიფარება. დადგამენ ნაძვის ხეებს, რომელთა უმეტესობა სულაც არ ემგვანება სადღესასწაულო აქსესუარს, თუმცა ფაქტი, რომ ახალი წელი დადგება, ურყევია, შესაბამისად მას უნდა შევხვდეთ კიდეც.

გაგრძელება
მე-5 გვერდზე

უმრავლესობამ უკრაინის შესახებ განცხადების მიღება არ ისურვა

პირველი გვერდიდან

ამასთან, ოპოზიციამ მაგიდებზე, უკრაინის გარდა, საქართველოს და ევროკავშირის დროშები განათავსა. პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა ოპოზიციონერ დეპუტატებს სთხოვა, მისთვისაც გადაეცათ ერთი ეგზემპლარი, რომელიც სპიკერის მაგიდაზე მოათავსეს. **„ვხედავ, რომ ეს თემა პოლიტიკური ნიშნით არ იყოფა, იმავე სიმბოლიკას** [უკრაინის დროშას] **უმრავლესობის მხარესაც ვხედავ,“** - მიანიშნა უსუფაშვილმა უმრავლესობის სექტორში გადმოკიდებულ უკრაინის დროშაზე.

პარლამენტარების გამოსვლების ტექსტები სწორედ ასოცირების შეთანხმების თემატიკით იყო გაჯერებული. საპარლამენტო უმცირესობა უმრავლესობას უკრაინის შესახებ განცხადების მიღებას მოუწოდებდა. **„საქართველომ მხარდაჭერა უნდა გამოხატოს, არა იმიტომ, რომ უკრაინა მოძმე ერია, არამედ ორმა პარტნიორმა სახელმწიფომ** [საქართველომ და უკრაინამ] **ევროპაში თავისუფლების რუკა, ფაქტობრივად, შეცვალეს. მათ ამ რეგიონისადმი თავისუფალი სამყაროს ყურადღების მიპყრობა შეძლეს. არ უნდა დავიწყოთ, რომ უკრაინამ და უკრაინელმა ხალხმა საქართველოს არნახული მხარდაჭერა გამოუცხადა, როდესაც 2008 წელს საქართველოს სრული ოკუპაცია ემუქრებოდა,** - თქვა ბეჟაშვილმა, - **„საქართველოს თავისუფლებისთვის ბრძოლის წინა ხაზი სწორედ უკრაინაში გადის. დღეს ჩვენ, ყველა, უკრაინელები ვართ.“** ბეჟაშვილმა უმრავლესობას უკრაინელი ხალხის მხარდასაჭერად ერთობლივი განცხადების მიღება შესთავაზა.

უმცირესობის წევრ აკაკი მინაშვილის შეფასებით, დღეს უკრაინა ფრონტის ხაზია და მას ისეთივე მხარდაჭერა სჭირდება, როგორიც საქართველოს 2008 წელს სჭირდებოდა. პარლამენტარის აზრით, იმ ვითარებაში, როცა უკრაინის ხელისუფლება არ მალავს, რომ ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის შეჩერების გადაწყვეტილება რუსეთის შანტაჟის გამო მიიღო, საქართველოს ოკუპანტი სახელმწიფოს მიმართ მტკიცე პოზიციის გამოხტვა სჭირდება. **„რუსეთს არ უნდა გაუჩნდეს იმის განცდა, რომ მომავალში შეუძლია საქართველოს იგივე გაუკეთოს და რომ ხელისუფლება შეიძლება, დამყოლი იყოს. ქართველ ხალხზე ის ვერ იმოქმედებს, ამიტომ ჩვენ ხმამაღლა უნდა ვთქვათ, რომ ჩვენი გზა მიდის ევროკავშირში და ევრაზიული კავშირის პერსპექტივების შესახებ არ უნდა ვისაუბროთ,“** - ამბობს აკაკი მინაშვილი.

ფრაქცია „ქარული ოცნება-რესპუბლიკელების“ თავმჯდომარემ დავით ბერძენიშვილმა უმცირესობის საპასუხოდ თქვა, რომ **„ხალხი საკუთარ ბედს წყვეტს - საქართველოს ევროპულ ბედს, ევროპულ არჩევანს საქართველოს მოქალაქეები გადაწყვეტენ, უკრაინის არჩევანს - უკრაინის მოქალაქეები.“** როგორც ბერძენიშვილი ამბობს, საგარეო ფაქტორები შეიძლება, ხელშემწყობი ან ხელშემშლელი იყოს. დეპუტატი აღნიშნავს, რომ უკრაინას დიდი მხარდაჭერა აქვს ევროპასა და აშშ-ში, მაგრამ ამასთან, ბუნებრივია, მისთვისაც არსებობს ხელშემშლელი ფაქტორები, ისევე როგორც საქართველოსთვის. **„ჩვენი ერთი მეზობელი სექტემბრის დასაწყისში შეფერხდა და პაუზა აიღო ევროპული ინტეგრაციის პროცესში. თუმცა, უკრაინა ევროპული ქვეყანაა და იქნება ევროპაში. როდის და როგორ, რამდენად გაიწელება პროცესი, ეს ხელს ვერ შეუშლის უკრაინელების არჩევანს,“** - დასძინა დავით ბერძენიშვილმა.

უმრავლესობისა და უმცირესობის მიერ წარდგენილი განცხადებების ტექსტები შეაფასა ფრაქცია „ქართული ოცნება - რესპუბლიკელების“ წევრმა ლევან ბერძენიშვილმა. მისი აზრით, ეს ტექსტები ცხადყოფს, როგორ საზოგადოებას წარმოადგენენ უმრავლესობა და უმცირესობა. **„თუ ერთი სიტყვით მაინც ვიტყვით, რომ ჩვენი ქვეყნის ბედი სადმე გარეთ წყდება, ასეთ შემთხვევაში ჩვენ არ ვართ ევროპული ქვეყანა და ვერ ვაკეთებთ ევროპულ არჩევანს. საქართველოს ბედი წყდებოდა და აუცილებლად გადაწყდება საქართველოში. საქართველოს ბედი აუცილებლად გადაწყდება თბილისში და რაკი დღეს პარლამენტი ქუთაისშია - გადაწყდება ქუთაისში და არსად სხვაგან,“** - მიმართა ბერძენიშვილმა კოლეგებს.

ლევან ბერძენიშვილი მიიჩნევს, რომ საქართველოსთვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რაც ამჟამად უკრაინაში ხდება, გულშემატკივრობს ამ ქვეყანას, მაგრამ ყველა სახელმწიფოს საკუთარი მთავრობა ჰყავს და გადაწყვეტილებებს მთავრობა იღებს. **„საქართველომ მათ გადაწყვეტილებებს, მოსაწონია თუ არა ისინი, პატივი უნდა სცეს,“** - თქვა ბერძენიშვილმა.

ფრაქცია „ქართული ოცნება - ეროვნული ფორუმის“ წევრი ანი მიროტაძე „ნაციონალურ მოძრაობას“ მიმართავს, უკრაინას საკუთარი მომავლის არჩევის საშუალება დაუტოვონ. ამავე დროს, როგორც მიროტაძე აღნიშნავს, იმ ძალიან მცირე მონაპოვართა შორის, რაც „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებას ჰქონდა, აღსანიშნავია ის, რომ ევროპისკენ სვლა არ შეუწყვეტია. **„მადლობას გიხდით იმისთვის, რომ იბრძოდით, რათა ღირსეული ადგილი მოგვეპოვებინა ევროპაში და დარწმუნებული ვარ, თქვენც გაგიხარდებათ, როცა ჩვენ ამ სანუკვარ ოცნებას ავიხდენთ და მიზანს მივაღწევთ. მე აქ ვხედავ უკრაინის, საქართველოს და ევროკავშირის დროშებს და ძალიან კარგია, რომ თქვენ ეს დროშები მოიტანეთ. დარწმუნებული ვარ, რომ უკრაინა, ისევე როგორც საქართველო, აუცილებლად გახდება ევროპული ოჯახის წევრი, იმის მიუხედავად, თუ როგორი გამოწვევების წინაშეც იქნება,“** - აღნიშნა მიროტაძემ.

ანალოგიური დამოკიდებულება ჰქონდა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე გოკა გაბაშვილს. მან ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების პარაფირების მიმართულებით გაწეული მუშაობისთვის ყოფილი და მოქმედი მთავრობის წარმომადგენლებს მადლობა გადაუხადა. უმცირესობის წევრი მოქმედი და ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრების მაია ფანჯიკიძისა და გრიგოლ ვაშაძის მიმართ პატივისცემას გამოხატავს. ამასთან, გაბაშვილი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში ყოფილი სახელმწიფო მინისტრის გიორგი ბარამიძის და მისი შემცვლელის ალექსი პეტრიაშვილის წვლილის შესახებ საუბრობს. **„ევროკავშირთან ინტეგრაცია საქართველოს ისტორიული არჩევანია. ქვეყანა ევროპისკენ ახლა არ მიდის - საქართველოს ტრადიციული ადგილი, საქართველოს იდენტობის ნაწილი არის ის, რომ საქართველო ევროპაა,“** - თქვა გოკა გაბაშვილმა. იგი ყურადღებას ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის, ევროპარლამენტის და ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის შენიშვნაზე ამახვილებს, რომელშიც საქართველოში შერჩევით სამართალისა და პოლიტიკური ოპოზიციის დევნის შესახებ არის საუბარი. გაბაშვილი იმედს გამოთქვამს, რომ ასეთი ქმედებები არ განმეორდება და შიდა პოლიტიკური პროცესები ხელს არ შეუშლის იმას, რომ საქართველო ერთი წლის შემდეგ ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერისთვის მზად იყოს.

შიდა პოლიტიკური პროცესების შეფასებისას ყოფილი პრემიერ-მინისტრის წინასწარი პატიმრობა გაიხსენა უმცირესობის წევრმა თინა ბოკუჩავამ. **„გეთახმებით, როცა ამბობთ, რომ დამნაშავე ადამიანები გარეთ თავისუფლად არ უნდა თარეშობდნენ, მაგრამ როცა წინასწარ პატიმრობაში გყავთ ადამიანი, რომელიც არ გაურბის გამოძიებას, რომელიც 4 000 მოწმეზე გავლენას ვერანაირად ვერ მოახდენს, რომელიც საქართველოდან არ გადის და თუ გადის, უკან ბრუნდება, მაშინ საქართველოს მთავრობის მოტივაციები ნამდვილად ეჭვქვეშ დგება. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ეს ამ დარბაზში კარგად იციან და ესმით. იმედი მაქვს, რაღაცნაირად გააგებინებთ და შეაგნებინებთ იმ ადამიანებს, ვისაც არ ესმის, თუ რა გავლენას მოახდენს ეს პროცესები საქართველოს ევროპულ არჩევაზე,“** - აღნიშნა ბოკუჩავამ.

პარლამენტში დებატები უშუალოდ განცხადების პროექტების შესახებ გაგრძელდა. უმცირესობის წევრ ირმა ნადირაშვილის მტკიცებით, დადგენილების პროექტი, რომელსაც საპარლამენტო უმცირესობა პარლამენტს სთავაზობს, აბსოლუტურად გაწონასწორებულია. **„ამ ტიპის განცხადებებს აკეთებს ევროკავშირი, რომელიც რუსეთის მხრიდან ზეწოლის შესახებ საუბრობს. ეს არის ვითარების რეალური შეფასება. თუ ამ მიმართულებით შევჯერდებით და ერთობლივი განცხადების გაკეთებას მოვახერხებთ, ეს რუსეთისთვის მნიშვნელოვანი სიგნალი იქნება. მოსკოვი დაინახავს, რომ თუ რუსეთი საქართველოს მიმართ მსგავს მეთოდებს გამოიყენებს, ქვეყნის პოლიტიკური კლასი ერთიანი იქნება,“** - მიმართა ნადირაშვილმა საპარლამენტო უმრავლესობას.

პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია აღნიშნავს, რომ მოქმედი ხელისუფლება ისე ვერ იმოქმედებს, როგორც თავის დროზე გივი თარგამაძე იქცეოდა. **„თარგამაძემ უკრაინაში რაზმი გადასხა და ლამის საქართველო უკრაინასთან დააპირისპირა და თავად საერთაშორისო სკანდალში გაეხვა. ეროვნული უსაფრთხოების წინააღმდეგ სწორედ ასეთი უპასუხისმგებლო მოქმედებაა მიმართული,“** - მიიჩნევს ბესელია.

ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე გიორგი ვოლსკის შეფასებით, უკრაინაში მიმდინარე მოვლენების შესახებ უმცირესობის მიერ წარმოდგენილი განცხადების პროექტი პრაგმატიზმის, დიპლომატიური პრინციპებისა და იმ აუცილებელი პირობის ფორმატს სცდება, რასაც უკრაინისა და „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ინიციატივის ფარგლებში სხვა ქვეყნების ინტერესების დაცვა მოიცავს.

„ჩვენ მიერ შემუშავებული განცხადება კიი დიპლომატიური ნორმებისა და პრინციპების გათვალისწინებით არის ჩამოყალიბებული,“ - აღნიშნა გიორგი ვოლსკიმ.

პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ვიქტორ დოლიძე მიიჩნევს, რომ უკრაინის მხარდაჭერის საკითხის განხილვისას აუცილებელია უკრაინის ოფიციალური ხელისუფლების განცხადებების გათვალისწინება. დოლიძე რუსეთის ზეწოლას მნიშვნელოვან ფაქტორად მიიჩნევს და საქართველოს მიმართ ანალოგიურ დამოკიდებულებას არ გამორიცხავს. მაგრამ, პარლამენტარის აზრით, მნიშვნელოვანი კომპონენტია უკრაინასა და ევროკავშირს შორის არსებული ეკონომიკური ურთიერთობები. **„პრეზიდენტმა იანუკოვიჩმა ისაუბრა იმის შესახებ, რომ უკრაინას ევროკავშირისგან 610 მილიონი ევროს ოდენობის ტრანში უნდა მიეღო, თუმცა წინაპირობად სავალუტო ფონდთან შეთანხმებაზე ხელმოწერა წამოუყენეს. ესეც ერთ-ერთი პირობაა. მხარდაჭერა ერთმნიშვნელოვნად უნდა იყოს და ამაზე არავინ დავობს, მაგრამ ოფიციალური პირების პოზიცია უნდა გავითვალისწინოთ,“** - თქვა დოლიძემ.

კომიტეტის თავმჯდომარემ უმცირესობის წევრებს ერთობლივი განცხადების მომზადებისკენ მოუწოდა. **„აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ფარგლებში მიღებულ დოკუმენტებში ნათქვამია, რომ ხელისუფლების და ოპოზიციის ურთიერთობა მომავალ თანამშრომლობას უნდა დაეფუძნოს, ამიტომ ერთიანი დოკუმენტი უნდა იყოს მიღებული, რომელიც ევროატლანტიკურ სივრცეში საქართველოს თანამშრომლობის კარგი მაგალითი იქნება,“** - მიმართა უმცირესობის წევრებს დოლიძემ.

გოკა გაბაშვილმა კი უმრავლესობას ორივე განცხადების ცალცალკე მიღება შესთავაზა. პარლამენტარის თქმით, უმცირესობის განცხადების პროექტი უკრაინაში მიმდინარე მოვლენების მიმართ პარლამენტის დამოკიდებულების გამომხატველი იქნება, ხოლო უმრავლესობის ვარიანტში ვილნიუსის სამიტზე ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების შესახებ პარლამენტის პოზიციაზეა საუბარი.

„საქართველოს არ უნდა ეუხერხულებოდეს და ერიდებოდეს, ცივილიზებული სიტყვებით გამოხატოს პოზიცია და ყველაფერს თავისი სახელი დაარქვას. არ მეგულება მსოფლიოში არც ერთი ცივილიზებული ქვეყანა - მათი მთავრობები და პარლამენტები, რომლებიც ამას ერიდებიან, ხოლო საქართველოს ორმაგად მართებს ამ პოზიციის გამოხატვა, რადგან თავად პროცესის მონაწილეა,“ - აღნიშნა გაბაშვილმა.

საბოლოოდ უმრავლესობა და უმცირესობა განცხადების ერთობლივ ტექსტზე ვერ შეთანხმდა. ბიუროზე მიღებული გადაწყვეტილებით, განცხადების ორივე ვარიანტი განსახილველად პლენარულ სხდომაზე გაიტანეს.

კენჭისყრაზე უმცირესობის პროექტს 18-მა პარლამენტარმა დაუჭირა მხარი, 31 წინააღმდეგი წავიდა. ვილნიუსის სამიტის შესახებ უმრავლესობის მიერ მომზადებული განცხადება პარლამენტმა 66 ხმით, ერთხმად მიიღო.

გოკა გაბაშვილის თქმით, ვინაიდან ოპოზიციის შენიშვნები არ გაიზიარეს, უმცირესობამ უმრავლესობის განცხადების მხარდაჭერისგან თავი შეიკავა. როგორც დავით უსუფაშვილი აღნიშნავს, იმ შემთხვევაში, თუ უმცირესობა უკრაინასთან დაკავშირებული განცხადების პროექტს დღის წესრიგიდან მოხსნიდა, უმრავლესობა უმცირესობის წინადადებების გაზიარებისთვის მზად იყო. **„ჩვენ მიერ მომზადებულ განცხადებაში ყველა თემაა ჩატეული და დემოკრატიულობის თვალსაზრისით ჩვენ უკრაინელ, ქართველ, რუს და ყველა ხალხს სოლიდარობას ვუცხადებთ,“** - აღნიშნა დავით უსუფაშვილმა.

მიღებული განცხადება 6-პუნქტიანია, მასში ნათქვამია, რომ საქართველოს პარლამენტი: ა) საქართველოს პრეზიდენტსა და საქართველოს მთავრობას სრულ მხარდაჭერას უცხადებს ვილნიუსის სამიტზე ევროპის კავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების პარაფირებასთან დაკავშირებით;

ბ) გამოხატავს მზადყოფნას, მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა 2014 წელს ხელი მოეწეროს ევროპის კავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებას;

გ) აქტიურად გააგრძელებს თანამშრომლობას „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ორმხრივი და მრავალმხრივი ურთიერთობების ფორმატებში, აგრეთვე ევრონესტის (აღმოსავლეთ პარტნიორობის) საპარლამენტო ასამბლეის ფარგლებში;

დ) გამოხატავს რწმენას, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა და დემოკრატიული სამყარო გააძლიერებენ ძალისხმევას „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ქვეყნების მხარდასაჭერად და მათი სუვერენიტეტის დასაცავად; ამასთანავე, გამოთქვამს იმედს, რომ ევროპული ინტეგრაციის პროცესში „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ქვეყნებს ექნებათ არჩევნის თავისუფლება, რომელსაც ვერავინ ხელყოფს;

ე) მოუწოდებს ევროპის კავშირს, გააძლიეროს დახმარების ინსტრუმენტები „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ქვეყნებისთვის, რათა ისინი მეტად დემოკრატიულები გახდნენ და ხალხთა შორის კავშირები უფრო ინტენსიური გახადონ;

ვ) იმედოვნებს, რომ ევროპის კავშირი „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ ამბიციურ პროექტს მეტად ქმედითს, მოქნილსა და შედეგებზე ორიენტირებულს გახდის.

საკუთარი ინფორმაცია

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "შვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: ირმა ჯიშკარიანი, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ. თილისი, ვაჟა-ფშაველას 45, 14-ე სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

ისტორიული სამიტი

პირველი გვერდიდან

იქ შეთანხმების თავფურცელის პარაფირებას საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე და ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო ურთიერთობათა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში კეტრინ ეშტონი საჯაროდ მოახდენენ.

გარდა ამისა, ვილნიუსის სამიტის ფარგლებში 29 ნოემბერს „ევროკავშირის სამოქალაქო მისიებსა და სამხედრო ოპერაციებში საქართველოს ჩართვის შესახებ“ ჩარჩო შეთანხმების ხელმოწერა იგეგმება. შეთანხმება საშუალებას მისცემს საქართველოს, ჩაერთოს ევროკავშირის ეგიდით მიმდინარე კრიზისული სიტუაციების მართვის ოპერაციებში და ამ გზით, ევროკავშირთან ერთად, მსოფლიოში უსაფრთხოების ხელშეწყობის პროცესში თავისი წვლილი შეიტანოს. შეთანხმებას საქართველოს მხრიდან ხელს მოაწერს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე, ხოლო ევროკავშირის მხრიდან - ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო ურთიერთობათა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში კეთრინ ეშტონი.

როგორც საგარეო უწყებაში აცხადებენ, საქართველომ „სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის“ შესრულების კუთხითაც მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია, რაც სამიტზე ასევე დადებითად იქნება შეფასებული.

ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე მოლაპარაკებები სამი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა - 2010 წლის ზაფხულიდან დაიწყო და 2013 წლის ივლისში დასრულდა.

„აღმოსავლეთ პარტნიორობის» სამიტში მონაწილეობისთვის ქართული დელეგაციის ნაწილი ლიტვის დედაქალაქში უკვე ჩავიდა.

100-გვერდიანი დოკუმენტის ყველა გვერდზე საკუთარ ხელმოწერას დააფიქსირებს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე დავით ზალკალიანი.

რაც შეეხება ასოცირების შეთანხმების იმ ნაწილს, რომელიც ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებას ეხება, შეთანხმების ამ ნაწილზე ხელმოწერას დააფიქსირებს ეკონომიკის მინისტრის მოადგილე მიხეილ ჯანელიძე. იგი ვილნიუსში 26 ნოემბერს ეკონომიკის მინისტრ გიორგი კვირიკაშვილთან ერთად ჩავიდა.

მიხეილ ჯანელიძის განცხადებით, აღნიშნული ხელშეკრულების პარაფირებიდან ხელმოწერამდე საქართველო შეეცდება, კანონმდებლობა გაუმჯობესოს და ყველა ის მოთხოვნა დააკმაყოფილოს, რომელიც მომავალ წელს შეთანხმების გაფორმებაში დაეხმარება.

გუშინ ვილნიუსიში ასევე ჩავიდა უმრავლესობის დეპუტატი თინა ხიდაშელი, რომელიც დღეს დაგეგმილ საპარლამენტო ფორუმში მიიღებს მონაწილეობას. ვილნიუსში იმყოფებიან საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენლებიც.

რაც შეეხება უშუალოდ სამიტს, საქართველოს დელეგაციას, პრეზიდენტის ხელმძღვანელობით, ხვალ ელოდებიან. გიორგი მარგველაშვილი ვილნიუსის სამიტზე 29 ნოემბერს სიტყვით გამოვა, ხოლო სამიტის პლენარული სესიის შემდეგ საქართველოს პრეზიდენტის პრესკონფერენციაა დაგეგმილია.

ქართული დელეგაცია ვილნიუსში ვიზიტს 29 ნოემბერს დაასრულებს. ამავე დღეს სრულდება „აღმოსავლეთ პარტნიორობის» რიგით მესამე სამიტი, რომელსაც ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყანა მასპინძლობს.

გუშინ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ვილნიუსის სამიტის შესახებ სპეციალური მიმართვა გაავრცელა, რომელშიც აღნიშნა, რომ ევროინტეგრაცია ქართველი ხალხის მტკიცე ნებაა. პრემიერი იმედოვნებს, რომ შეთანხმების პარაფირებით ინტეგრაციის პროცესი დაიწყება, რომელიც საბოლოოდ ევროკავშირში გაწევრიანებით დასრულდება:

„ახლოვდება „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ვილნიუსის სამიტი. ეს ისტორიული სამიტია საქართველოსთვის. ვილნიუსში ასოცირების შესახებ შეთანხმების პარაფირებით ჩვენ ვიწყებთ ევროკავშირში რეალური ინტეგრაციის უმნიშვნელოვანეს პროცესს, რომელიც, მჯერა, აუცილებლად დაგვირგვინდება საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებით. ეს არის ჩვენი ხალხის მტკიცე ნება. ეს არის ჩვენი ისტორიული არჩევანი, რომელსაც ალტერნატივა არ აქვს.

საქართველოს სწრაფვას ევროპული ოჯახისკენ, ევროპული ცივილიზაციისკენ, მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. როდესაც ჩვენი დიდი წინაპრები ევროპასთან კავშირების გაბმასა და დაახლოებაზე ზრუნავდნენ, ეს არ იყო მხოლოდ პოლიტიკური არჩევანი. საქართველო ევროპული ქვეყანაა თავისი კულტურით, ისტორიითა და, რაც მთავარია, ღირებულებებით. სწორედ ამიტომ, ევროკავშირში ინტეგრაცია არის ერთადერთი გზა, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს, საქართველო ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბდეს ევროპულ ქვეყნად.

ასოცირების შეთანხმებაზე მოლაპარაკებები სამი წელი გრძელდებოდა. წელს ივლისში ეს მოლაპარაკებები წარმატებით დასრულდა და შეთანხმება პარაფირებისთვის მომზადდა. მომავალ წელს კი აღნიშნულ შეთანხმებას ხელი მოეწერება.

ეს არის ევროკავშირთან დაახლოების ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი და რეალური მექანიზმი, რომელიც საქართველოსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობას ყველა მიმართულებით თვისობრივად ახალ დონეზე აიყვანს.

მეგობრებო, აქვე კიდევ ერთხელ მინდა, გითხრათ, რომ თავად ასოცირების შესახებ შეთანხმება არ გულისხმობს ევროკავშირში გაწევრიანებას, მაგრამ იგი ევროკავშირთან დაახლოების იმდენად მაღალ დონეს ითვალისწინებს, რომ, ფაქტობრივად, საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების პროცესი შეუქცევადი გახდება.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმების განუყოფელი ნაწილია ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის ფორმირება ეტაპობრივად გაუხსნის გზას ჩვენს ქვეყანას ევროკავშირის შიდა ბაზარზე. შორს არ არის ის დრო, როდესაც ქართული პროდუქცია თავისუფლად შევა ევროპის ბაზარზე და წარწერას „დამზადებულია საქართველოში“ სულ სხვა დატვირთვა ექნება. საქართველოში ნაწარმოები საქონლის დიდი ნაწილი ევროკავშირში შევა ტარიფებისა და კვოტების გარეშე. ამავე დროს, ეს იქნება მნიშვნელოვანი წინაპირობა ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვისთვის.

ჩვენ სავიზო რეჟიმის შესახებაც ვმუშაობთ და როდესაც ევროკავშირი შესაბამის პოლიტიკურ გადაწყვეტილებას მიიღებს, შესაძლებელი გახდება საქართველოს მოქალაქეებისთვის შენგენის ქვეყნებში უვიზო მიმოსვლის რეჟიმის შემოღება.

საქართველოს ევროპული ინტეგრაცია ჩვენს ქვეყანას მისცემს გაცილებით დიდ შესაძლებლობებს, ააშენოს დემოკრატიული ინსტიტუტები, უზრუნველყოს საკუთარი მოქალაქეების თავისუფლება და უსაფრთხოება. ეს სასარგებლო იქნება არა მარტო საქართველოსთვის, არამედ მთელი რეგიონისთვის. მინდა, მკაფიოდ და მადლიერებით აღვნიშნო, რომ ევროპა მხარს უჭერს საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და სუვერენიტეტს, აგრეთვე განუხრელად განაგრძობს ჩვენს თანადგომას დეოკუპაციისა და არაღიარების პოლიტიკის განხორციელების მიმართულებით.

ძვირფასო მეგობრებო!

დღეს ჩვენს თაობას წილად ხვდა პატივი, მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგას ევროპისკენ, ჩვენი წინაპრების ოცნების ასრულებისკენ.

გილოცავთ ყველას ამ წინსვლას! მჯერა, წინ კიდევ ბევრი წარმატება გველის!“ ამასთან, გუშინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ვილნიუსის სამიტის დეკლარაციის პროექტის საბოლოო ვარიანტიდან ამოღებულია 49-ე მუხლი, რომელიც უფლებას ანიჭებს ნებისმიერ ევროპულ სახელმწიფოს, თუ ის პატივს სცემს ევროკავშირის ფუნდამენტურ ფასეულობებს, ევროკავშირს გაწევრიანების განაცხადით მიმართოს. ინფორმაციას ამის შესახებ „რადიო თავისუფლების“ ევროპის ბიურომ გაავრცელა.

„რადიო თავისუფლების“ ინფორმაციით, დეკლარაციის წინა პროექტში ეს მუხლი არსებობდა. ახალ ვარიანტში კი აღნიშნულია, რომ ვილნიუსის სამიტის მონაწილეები კიდევ ერთხელ ადასტურებენ, რომ აღიარებენ ზოგიერთი პარტნიორის ევროპულ მისწრაფებებსა და ევროპულ არჩევანს, ისევე როგორც მათ მტკიცე პოზიციას, ააშენონ ღრმა და მდგარდი დემოკრატია.

როგორც „რადიო თავისუფლების“ მიერ გავრცელებულ სტატიაშია ნათქვამი, 49-ე მუხლი იურიდიული და სიმბოლური თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანია.

„ტექსტში გამოყენებული ფორმულირებების შეცვლა მათ იმითაც შეძლეს, რომ პროექტი „აღმოსავლეთ პარტნიორობის ექვს სახელმწიფოს მოიხსენიებს ქვეყნებად ან პარტნიორ ქვეყნებად, ნაცვლად სახელმწიფოსი. ეს ასევე განიხილება გაფართოების პერსპექტივის შესუსტებად,“ - ნათქვამია „რადიო თავისუფლების“ მიერ გავრცელებულ სტატიაში.

„რადიო თავისუფლების“ ცნობით, ვილნიუსის დეკლარაციის პროექტს, რომელშიც აღნიშნულია აქამდე მიღწეული ასპექტები და ის, თუ რა უნდა მოხდეს 2015 წლის სამიტამდე, საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, ბელარუსის, მოლდოვასა და უკრაინის წარმომადგენლები 27 ნოემბრამდე შეისწავლიან. ამასთან, „რადიო თავისუფლება“ აღნიშნავს, რომ „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ქვეყნები შეეცდებიან, დოკუმენტში შეიტანონ გარკვეული ფორმულირება რეგიონში არსებული გაყინული კონფლიქტების შესახებ.

გავრცელებული ინფორმაციით, დეკლარაციის პროექტი არ შეიცავს პუნქტებს აფხაზეთის, ე.წ. სამხრეთ ოსეთის, მთიანი ყარაბაღისა და დნესტრისპირეთის კონფლიქტების შესახებ.

„თუმცა, შესაძლოა, „აღმოსავლეთ პარტნიორობის ზოგიერთი ქვეყანა შეეცადოს, დეკლარაციის პროექტში ჩაამატოს პუნქტები ამ სადავო ტერიტორიების შესახებ,“ - ნათქვამია „რადიო თავისუფლების“ მიერ გავრცელებულ სტატიაში.

ამ საკითხის შესახებ კომენტარი გააკეთა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ. მისი თქმით, ევროკავშირის შეთანხმების 49-ე მუხლზე საუბარი აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებთან არასდროს ყოფილა.

„ეს ინფორმაცია გუშინ გაავრცელა „რადიო თავისუფლებამ“, ხოლო მოგვიანებით ჟურნალისტი დამიკავშირდა კომენტარის ასაღებად. ევროკავშირის შეთანხმების 49-ე მუხლი ითვალისწინებს ევროპული პერსპექტივის გახსნას ევროპის იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც შეასრულებენ ევროკავშირის წევრობის კრიტერიუმებს და ექნებათ ევროკავშირში გაწევრიანების სურვილი. ამ მუხლზე საუბარი არასდროს ყოფილა „აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მიმართ. ასოცირების შეთანხმება არ ნიშნავს წევრობას ევროკავშირში. ის არის მასთან ძალიან დაახლოების მექანიზმი. აქედან გამომდინარე, არც ერთ დეკლარაციაში, რომელიც მიღებული იყო წინა სამიტებზე პრაღასა და ვარშავაში, ნახსენები არ ყოფილა 49-ე მუხლი. ეს მუხლი არც ასოცირების შეთანხმებაში დევს,“ - განმარტა ფანჯიკიძემ.

მისივე თქმით, „აღმოსავლეთ პარტნიორობის» სამიტის დეკლარაციაზე „აღმოსავლეთ პარტნიორობის» ქვეყნები და ევროკავშირი მუშაობენ.

„ეს დეკლარაცია მნიშვნელოვანი დოკუმენტია და მნიშვნელოვანია, იქ ის მესიჯები შევიდეს, რომლებიც ჩვენ გვინდა, რომ გავრცელდეს და მასზე მუშაობა, სავარაუდოდ, სამიტის ბოლო წუთამდე გაგრძელდება. რაც შეეხება 49-ე მუხლს. მე ყოველთვის ვამბობდი, რომ საქართველო მოწადინებულია, მიიღოს ევროპული პერსპექტივა, ისე როგორც ეს არის აღნიშნული შეთანხმების 49-ე მუხლში. ამ სურვილის გაცხადებას წინ არაფერი უდგას. ჩვენ ყველა გამოსვლაში ამ სურვილს ვაფიქსირებთ, რათა მკაფიო გავხადოთ ჩვენი ევროპული მისწრაფება. იმედი მაქვს, გარკვეული ეტაპების გავლის შემდეგ ესეც არ იქნება საქართველოსთვის უტოპია და ერთ მშვენიერ დღეს საქართველო ევროკავშირის წევრი გახდება,“ - აღნიშნა ფანჯიკიძემ.

„დენსუსის“ დასკვნა ვანო მერაბიშვილის საქმეში მტკიცებულებად ჩაიდო

თბილისის საქალაქო სასამართლოში გუშინ 26 მაისის საქმეზე ვანო მერაბიშვილის პროცესი გაიმართა.

სასამართლომ არ დააკმაყოფილა პროკურატურის შუამდგომლობა და 26 მაისის მოვლენების შესახებ ამერიკული კომპანია „დენსუსის“ დასკვნა ვანო მერაბიშვილის საქმეში ჩადო.

„დენსუსის“ დასკვნის მტკიცებულებად გამოყენებას დაცვის მხარე ვანო მერაბიშვილის წინასასამართლო პროცესის განმავლობაში ითხოვდა. ადვოკატები ამბობდნენ, რომ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული დასკვნა საქმეში არ ჩაიდებოდა, სასამართლო პროცესები აზრს დაკარგავდა.

პროკურატურა კი „დენსუსის“ დასკვნის საქმეში გამოყენებას იმ მოტივით ეწინააღმდეგებოდა, რომ დაცვის მხარეს აღნიშნული დასკვნის ავტორები დასაკითხ მოწმეთა სიაში არ ჰყავს შეყვანილი.

გუშინდელ პროცესზე ბრალდების მხარე ასევე ითხოვდა, რომ „დენსუსის“ შესახებ ვანო მერაბიშვილი არ დაკითხულიყო, თუმცა არც ეს შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და სასამართლოს გადაწყვეტილებით, ყოფილი პრემიერ-მინისტრი საქმის არსებითი განხილვისას ამერიკული კომპანიის დასკვნის შესახებ დაიკითხება.

ვანო მერაბიშვილმა პროკურორებს მიმართა, რომ მათი სურთ, ბრალდება ნინო ბურჯანაძის ჩვენებაზე იყოს აგებული.

„გასაგებია თქვენი პოზიცია, რატომ არ გსურთ ამერიკული კომპანიის დასკვნა საქმეში მტკიცებულებად იყოს და ექსპერტები არ დაიკითხონ. თქვენი მიზანია, რომ ჩემი ბრალდება აგებული იყოს ნინო ბურჯანაძის ჩვენებაზე და პროცესებზე დაიკითხონ ბურჯანაძე, მისი ქმარი და მისი ახლობლები,“ - მიმართა ვანო მერაბიშვილმა პროკურორს.

გარდა ამისა, გუშინდელ პროცესზე ვანო მერაბიშვილმა ვილნიუსის სამიტის შესახებ ისაუბრა და აღნიშნა, რომ არც ერთი ადამიანის ბედი არ ღირს იმად, რომ მთელი ერის მომავალი ეჭვქვეშ დადგეს.

„ხვალ იწყება ვილნიუსის სამიტი, ღონისძიება, რომელმაც დასაბამი უნდა დაუდოს ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ოცნების ახდენას - საქართველოს ევროპულ ოჯახში დაბრუნებას.

სამიტის წინ, როგორც უკრაინაში, ისე საქართველოში, ყურადღების ცენტრში მოექცა პოლიტიკური ოპონენტების დევნის საკითხი. ევროკომისარმა გაფართოებისა და სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში შტეფან ფულემ განაცხადა, რომ „თუ საქართველო ერთგული დარჩება იმ ფასეულობების, რაც მნიშვნელოვანია ევროკავშირისთვის და დაამყარებს კანონის უზენაესობას, არ დაუშვებს შერჩევით სამართალსა და ქვეყანაში იქნება თავისუფალი მედია, მაშინ ის უფრო მეტად დაუახლოვდება ევროკავშირს.“

მინდა, დღეს ჩემი პოზიცია მოგახსენოთ ამ საკითხის შესახებ. არც ერთი ადამიანის, მათ შორის არც ჩემი ბედი არ ღირს იმად, რომ ეჭვქვეშ დადგეს მთელი ერის მომავალი. მე უპირობოდ მხარს ვუჭერ ხვალ ევროკავშირი-საქართველოს შეთანხმების ინიცირებას,“ - განაცხადა ვანო მერაბიშვილმა.

რუსმა მესაზღვრეებმა დვანის მთელ პერიმეტრზე ე.წ. საზღვრის აღმნიშვნელი ბანერები დაამონტაჟეს

რუსმა მესაზღვრეებმა იმ ტერიტორიაზე, სადაც თვენახევრის წინ „სასაზღვრო-სადემარკაციო“ სამუშაოები მიმდინარეობდა, მწვანე ფერის ბანერები დაამონტაჟეს. მათზე ერთი მხრიდან ქართულ და ინგლისურ ენებზე, მეორე მხრიდან კი ოსურ და რუსულ ენებზეა მითითებული, რომ ეს ტერიტორია ე.წ. სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო საზღვარს წარმოადგენს.

სოფლის მთელ პერიმეტრზე, მავთულხლართების გაყოლებაზე, დაახლოებით, 6 ბანერია დამონტაჟებული. ადგილობრივი მოსახლეობა აცხადებს, რომ ამ ტერიტორიაზე გადაადგილებას უკვე ვეღარ შეძლებენ. როგორც ადგილობრივები ვარაუდობდნენ, სამეურნეო სავარგულების მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ ამ ბანერების მიღმა დარჩა.

ორი დღის წინ რუსი სამხედროები აღნიშნულ ტერიტორიაზე სპეციალური ტექნიკით გამოჩნდნენ და საოკუპაციო ხაზის პერიმეტრებზე მიწის მოსწორების სამუშაოებს აწარმოებდნენ.

მეუღლე თინა მეხუზლა, და მანანა კვირიკაძე, შვილი ქეთევანი, შვილიშვილი დანიელი და სიძე გოჩა გოგებაშვილი იუწყებიან გივი ბენიას ძე კვირიკაძის გარდაცვალებას.

პანაშვიდი: 28-29 ნოემბერი, 17:00 საათი

დაკრძალვა: 30 ნოემბერი, 14:00 საათი

მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა, ნომერი 18.

ტარიელ მეხუზლა, ოჯახით, მწუხარებას გამოთქვამს ცოლის ძმა გივი ბენიას ძე კვირიკაძის გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს გარდაცვლილის ოჯახს.

ამერიკული ბომბდამშენები ჩინეთის „ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ზონაში" შეფრინდნენ

ამერიკის სამხედრო თვითმფრინავები აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვის რაიონში შეფრინდნენ, რომელიც ჩინეთის ხელისუფლებამ ცოტა ხნის წინ „ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვით ზონად" გამოაცხადა. პენტაგონის ოფიციალური წარმომადგენლის, პოლკოვნიკ სტივ ოურენის განცხადებით, ორმა ბომბდამშენმა სენკაკუს კუნძულებს გადაუფრინა. ამ კუნძულების ჯგუფზე ჩინეთი აცხადებს პრეტენზიას. გავრცელებული ინფორმაციით, თვითმფრინავების ბორტზე სტრატეგიული იარაღი არ იყო, ჩინეთის ხელისუფლებაც ამ ფრენის შესახებ წინასწარ ინფორმირებული არ ყოფილა. ჩინეთის თავდაცვის უწყების განცხადებით, ჩინელი სამხედროები ამერიკული ბომბდამშენების ფრენას აკვირდებოდნენ. შაბათს პეკინმა განაცხადა, რომ ამ ზონაში ნებისმიერი ფრენა წინასწარ უნდა იყოს შეთანხმებული, მფრინავებმა კი ჩინური მხარის მოთხოვნები უნდა შეასრულონ.

ტაილანდის ოპოზიცია მთავრობის გადადგომას „მშვიდობიანი შტურმით" გეგმავს

ტაილანდში უკვე მეოთხე დღეა, მშვიდობიანი ანტისამთავრობო გამოსვლები გრძელდება. საპროტესტო გამოსვლები, დედაქალაქის გარდა, სხვა პროვინციებშიც მიმდინარეობს. 27 ნოემბერს ოპოზიციონერებმა, რომლებიც მთავრობის გადადგომას ითხოვენ, რამდენიმე ქალაქის მერიის შესასვლელი ჩაკეტეს. ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერის სუტხეპ ტაუგსუბანის განცხადებით, ისინი მშვიდობიანი გზით აპირებენ ხელისუფლების მთავარ ორგანოებში შეჭრას ან მათი მუშაობისათვის ხელის შეშლას: „ეს სისხლისღვრის გარეშე რეჟიმის გადაყენების საუკეთეოს გზაა. ჩვენ, უბრალოდ, მივალთ, დავსხდებით და დაველოდებით," - დაწერა ტაუგსუბანმა „ფეისბუქის" საკუთარ გვერდზე. „24 საათი" უკვე იუწყებოდა, დემონსტრაციები მას შემდეგ დაიწყო, რაც ამნისტიის კანონპროექტის შესახებ გახდა ცნობილი. ეს კანონპროექტი გადაყენებული პრემიერის ტაქსინ ჩინავატის ამნისტიას ითვალისწინებდა. თუმცა სენატმა ნოემბრის დასაწყისში ის უარყო. ამჟამად ტაილანდის პრემიერ-მინისტრი ტაქსინის უმცროსი და იინგლაკ ჩინავატია.

მოსკოვში 14 შეიარაღებული ისლამისტი დააკავეს

რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით, მოსკოვში უზენაესი სასამართლოს მიერ აკრძალული ექსტრემისტური ორგანიზაცია „ალ-ტაკფირ ვალ-ჰიჯრას" 14 წევრი დააკავეს. პოლიციის განცხადებით, მათ ასაფეთქებელი მოწყობილობები, იარაღი და ექსტრემისტური ლიტერატურა აღმოაჩნდათ. სამინისტროს პრესსამსახურის განცხადებით, 14-ვე წევრი 26 ნოემბრის საღამოს მოსკოვის გარეუბანში აიყვანეს. „ალ-ტაკფირ ვალ-ჰიჯრას" გაერთიანება ეგვიპტეში 1970-იან წლებში შეიქმნა და იდეოლოგიურად „ალ-ქაიდასთან" არის დაკავშირებული.

ეგვიპტელმა პროკურორმა ორი წამყვანი აქტივისტის დაკავების ბრძანება გასცა

„როიტერის" ცნობით, ეგვიპტელმა პროკურორმა ორი გამოჩენილი აქტივისტის დაკავების ბრძანება გასცა, რომლებსაც საპროტესტო გამოსვლების წახალისება ედებათ ბრალად. ერთ-ერთი მათგანი იმ ჯგუფის წევრია, რომელმაც ჰოსნი მუბარაქის წინააღმდეგ საპროტესტო გამოსვლების ორგანიზებაში დიდი წვლილი შეიტანა. 6 აპრილის ახალგაზრდული მოძრაობის ლიდერ აჰმედ მაჰერისა და ალა აბდელ ფატაჰის დაპატიმრების ბრძანება მას შემდეგ გაიცა, რაც მათ სამაშაბათს პარლამენტის შენობის წინ გამართულ დემონსტრაციაში მიიღეს მონაწილეობა. ცნობისათვის - ცოტა ხნის წინ ეგვიპტეში ახალი კანონი მიიღეს, რომელიც დემონსტრაციებს ზღუდავს. ამ კანონის მიღების გამო ამერიკამ შეშფოთება უკვე გამოთქვა.

სომხეთის პრეზიდენტობის ექს-კანდიდატი ქვეყნის საბაჟო კავშირში გაწევრიანებას აპროტესტებს

26 ნოემბერს პარტია „ეროვნული თვითგამორკვევის" ლიდერმა პარუირ აირიკიანმა ერევანში პრეზიდენტის ადმინისტრაციის შენობის წინ საპროტესტო აქცია გამართა. აქციაში 50-მდე ადამიანი მონაწილეობდა. ისინი სომხეთის საბაჟო კავშირში გაწევრიანებაზე უარის თქმას მოითხოვდნენ. დემონსტრანტებს ხელში ეჭირათ პლაკატები წარწერით: „ვილნიუსი ან გადადგომა", „არა საბაჟო კავშირს", „არა რუსეთის იმპერიას". „ნოვოსტი არმენიას" ცნობით, აქციის მსვლელობის დროს პოლიციასა და დემონსტრანტებს შორის დაპირისპირებას ადგილი არ ჰქონია. სექტემბერში სომხეთისა და რუსეთის პრეზიდენტების შეხვედრის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ სომხეთი ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზე უარს ამბობს და რუსეთ-ბელარუს-ყაზახეთის საბაჟო კავშირში გაწევრიანებას გეგმავს.

მოამზადა თამთა კახაძემ

გერმანიაში ფართო მმართველი კოალიცია შეიქმნა

ივა შილაკაძე

მოქმედ კანცლერ ანგელა მერკელის მემარჯვენე-ცენტრისტულმა ბლოკმა, ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირისა და ქრისტიანულ სოციალური კავშირის შემადგენლობით, რთული, ხუთკვირიანი მოლაპარაკებების შემდეგ მთავარ მოწინააღმდეგეებთან მემარცხენე-ცენტრისტულ „სოციალურ-დემოკრატიულ პარტიასთან" კოალიციის შექმის შესახებ შეთანხმება მოახერხა.

დაძაბული მოლაპარაკებების ბოლო რაუნდი 17 საათს გრძელდებოდა. ამის მიზეზი, მათ შორის, ის იყო, რომ დღეს ანგელა მერკელი აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტში მონაწილეობისთვის ვილნიუსში მიემგზავრება. მერკელი ამ ფორუმის გამოტოვების კატეგორიული წინააღმდეგი იყო.

ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირისა და ქრისტიანულ-სოციალური კავშირის ბლოკი 22 სექტემბერს ჩატარებულ არჩევნებზე პირველ ადგილზე გავიდა და მას სულ ცოტა დააკლდა აბსოლუტურ უმრავლესობამდე, რაც მთავრობის დამოუკიდებლად ჩამოყალიბების უფლებას მისცემდა. მათ ხმების 41,5 პროცენტი მიიღეს, სოციალ-დემოკრატებმა - 26 პროცენტი, მემარცხენეებმა (ყოფილმა კომუნისტებმა) - 8,6 პროცენტი, ხოლო „მწვანეებმა" - 8,4 პროცენტი. ბარიერი ვერ გადალახეს და ბუნდესტაგში ვერ მოხვდნენ ქრისტან-დემოკრატების ტრადიციული კოალიციური პარტნორები თავისუფალი- დემოკრატები, ამიტომ იდეოლოგიურ მოწინააღმდეგეებს შორის მოლაპარაკებები გაიწელა. სოციალ-დემოკრატებამდე მემარჯვენეებმა მოლაპარაკება „მწვანეებთან" სცადეს, მაგრამ უშედეგოდ.

დადებული კოალიციური ხელშეკრულება 170-გვერდიანია და ის საზოგადოებას ოფიციალურად გუშინ საღამოს პრესკონფერენციაზე წარუდგინეს. ამ პრესკონფერენციაში ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის ლიდერი ანგელა მერკელი, ქრისტიანულ-სოციალური კავშირის ლიდერი ჰორსტ ზეეჰოფერი და სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე ზიგმარ გაბრიელი მონაწილეობდნენ.

ყველაზე რთული პარტიების წინასაარჩევნო პრიორიტეტების შეჯერება აღმოჩნდა. ცხადია, ორივე მხარეს გარკვეულ კომპრომისზე წასვლა მოუწია. შეთანხმდნენ, რომ მინიმალური ანაზღაურება მომავალი წლის იანვრიდან (სხვა მონაცემებით, 2015 წლის იანვრიდან) დაწესდება საათში 8,5 ევროს ოდენობით, რასაც სოციალ-დემოკრატები მოითხოვდნენ. ცვლილებები შევა აგრეთვე საპენსიო უზრუნველყოფის კანონში - შემცირდება საპენსიო ასაკი. გადასახადების არანაირი მომატება არ მოხდება - ეს მერკელის კოალიციის საკვანძო მოთხოვნა იყო. სავარაუდოდ, 2015 წლის შემდეგ გერმანია სასესხო ვალდებულებებს თავის თავზე აღარ აიღებს. ხელშეკრულების სხვა ძირითადი საკითხებიდან შეიძლება, გამოვყოთ აგრეთვე ცვლილებები მოქალაქეობის მიღების კანონში, რაც გულისხმობს ორმაგი მოქალაქეობის შემოღებას უცხოელი მშობლების გერმანიაში დაბადებული შვილებისთვის. აქამდე მოქმედი კანონით, 23 წლის ასაკამდე ასეთ პირს უნდა აერჩია, თავისი მშობლების სახელმწიფოს მოქალაქეობას მიიღებდა თუ გერმანიისას. იგეგმება გადასახადის შემოღება გერმანიის ჩქაროსნულ ატომაგისტრალებზე გავლისთვის. თავიდან ქრისტიან-დემოკრატები ამას ეწინააღმდეგებოდნენ, თუმცა საბოლოოდ შეთანხმდნენ, რომ ამ გადასახადს მხოლოდ მსუბუქი ავტომანქანებით გერმანიაში შესული უცხოელები გადაიხდიან. შესაბამისი კანონის მიღება 2014 წელს იგეგმება.

უკვე ცნობილია, რომ გერმანიის „სოციალ-დემოკრატიული პარტია" კაბინეტში 6 პორტფელს მიიღებს, ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი - 5 პორტფელს და ფედერალური კანცლერის თანამდებობას (მინისტრის რანგში), ხოლო ქრისტიანულ-სოციალური კავშირი მინისტრის 3 პორტფელს. ჯერ უცნობია, თუ რომელი პარტია რომელი მინისტრების პორტფელებს მიღებს. მოგვიანებით გამოცხადდება აგრეთვე კაბინეტის პერსონალური შემადგენლობაც, რადგან „სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ" კოალიციური ხელშეკრულება „პარტიულ აქტივს" ანუ პარტიის საშუალო რგოლის წარმომადგენლებს უნდა შეუთანხმოს. ეს მინი რეფერენდუმი დეკემბრის დასაწყისში იგეგმება ფოსტის საშუალებით. ალბათ მხოლოდ ამის შემდეგ გამოცხადდება, თუ ვინ რომელი მინისტრის პოსტს დაიკავებს და უკვე 17 დეკემბერს, სავარაუდოდ, ანგელა მერკელი დადებს ფიცს, როგორც გერმანიის ახალი კანცლერი. ეს ამ თანამდებობაზე მისი მესამე ვადა იქნება. ქრისტიან-დემოკრატებისა და სოციალ-დემოკრატების ფართო „შავ-წითელი" კოალიცია გერმანიას უკვე მართავდა 2005-2009 წლებში.

იანუკოვიჩი: ევროპისკენ წავალთ, ოღონდ მოგვიანებით

პირველი გვერდიდან

ოფიციალური კიევი აცხადებს, რომ ქვეყნის გეოპოლიტიკური კურსი უცვლელია და ევროპასთან დასაახლოვებლად მუშაობა ერთი წუთითაც არ შეჩერდება. პარალელურად კიევში საპროტესტო აქციები არ წყდება. უფრო მეტიც, ამ აქციებმა უფრო კონსოლიდირებული სახე მიიღო.

კიევში ევროპული კურსის მომხრეთა ორი აქცია გაერთიანდა და ამაში გარკვეული წვლილი შეიტანა ციხეში, უფრო სწორად, ხარკოვის საავადმყოფოში პატიმრობაში მყოფმა ექს-პრემიერმა იულია ტიმოშენკომ. გუშინდელ დილამდე უკრაინის დედაქალაქის ცენტრში ორი აქცია მიმდინარეობდა - ევროპის მოედანზე, ოპოზიციური საპარლამენტო პარტიების ხელმძღვანელობით და დამოუკიდებლობის მოედანზე, სტიქიურად, ძირითადად, ახალგაზრდებისა და სტუდენტების მონაწილეობით. ეს უკანასკნელები მხოლოდ უკრაინის ევროპული კურსისთვის იბრძვიან და ვიწროპარტიული ინტერესები და სიმბოლიკა აღიზიანებთ. ტიმოშენკომ მომხრეებს მოუწოდა. პროგრესულად მოაზროვნეთა ძალებს ნუ დაქსაქსავენ და მთავარი მიზნის მისაღწევად გაერთიანდნენ. მანვე პოლიტიკურ პარტიებს მოუწოდა, აქციების მართვაში სტუდენტები ჩართონ, რადგან ეს მნიშვნელოვანი ძალაა. ოთხშაბათს, გამთენიისას, პოლიტიკური პარტიების აქცია ევროპის მოდნიდან დაიძრა და ხრეშჩატიკის გავლით დამოუკიდებლობის მოედანზე სტუდენტებს შეუერთდა. ევროპის მოედანზე ოპოზიციონერებმა თვითონ დაშალეს კარვების ქალაქი და დამოუკიდებლობის მოედანზე გადაიტანეს. ახალგაზრდები მათ ოვაციებით შეხვდნენ. მსვლელობისას მანიფესტანტები ყვიროდნენ «იულიას თავისუფლება, უკრაინას ევროკავშირი!" აშკარად შემცირებული იყო, თუმცა ზოგს მაინც ეკავა ხელში პარტიული დროშები.

ტიმოშენკომ პატიმრობის პირობებში გუშინ უკვე მესამე დაბადების დღე «იზეიმა". 27 ნოემბერს ის 53 წლის გახდა. მასთან საავადმყოფოს პალატაში შესვლის უფლება დართეს მის ადვოკატ სერგეი ვლასენკოსა და ქალიშვილს ევგენიას. ამ უკანასკნელისთვისაც ეს არ იყო გრძელვადიანი პაემანი. ისიც დედასთან მისი დამცველის სტატუსით შეუშვეს. შვილმაც, ადვოკატმაც და საავადმყოფოსთან შეკრებილმა მომხრეებმაც იულია ტიმოშენკოს შიმშილობის შეწყვეტისკენ მოუწოდეს.

სამშაბათს, გვიან საღამოს, უკრაინულ ტელეარხებს ინტერვიუ მისცა უკრაინის პრეზიდენტმა ვიქტორ იანუკოვიჩმა, რომელშიც მან ევროინტეგრაციის გზაზე პაუზის გაკეთების აუცილებლობა განმარტა. პრეზიდენტის თქმით, უკრაინის ეკონომიკის ამჟამინდელი მდგომარეობით ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმება არ შეიძლება, რადგან შემხვედრი პირობები დამამცირებელია. უკრაინის პრეზიდენტის განცხადებით, ხელმოწერა შედგება მაშინ, როცა უკრაინა უკეთესად იქნება მომზადებული. ახლა კი ეს თავის ყულფში გაყოფას ნიშნავს. იანუკოვიჩი აღნიშნავს, რომ აღებული 21 ვალდებულებიდან 19 შესრულებულია, დანარჩენს კი უკრაინა ახლა ვერ შეასრულებს, რადგან ჯერ ის არის გასარკვევი, როგორ იცხოვრებენ მომავალი წლის განმავლობაში.

ტიმოშენკოს შესახებ კი აღნიშნა, რომ ექს-პრემიერმა უკრაინას ჯერ ის ზარალი უნდა აუნაზღაუროს, რაც თავისი გადაწყვეტილებებით მიაყენა და შემდეგ ითხოვოს გათავისუფლება. იანუკოვიჩის თქმით, მიუხედავად იმისა, ტიმოშენკოს გაუშვებენ თუ არა, უკრაინას ამ კაბალური ხელშეკრულების გამო ზედმეტი მილიარდების გადახდა 15 წელი მოუწევს. უკრაინის პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ ეს ყველაფერი ჯერ კიდევ გასარკვევია სასამართლოში, ტიმოშენკო კი სასამართლომდე საქმის მიყვანას აჭიანურებს. იანუკოვიჩის თქმით, აქ ევროკავშირის მოთხოვნა მეორეხარისხოვანია. უკრაინის პრეზიდენტმა არ დამალა, რომ ევროკავშირისგან «ზედმეტი ულტიმატუმების» გამო ნაწყენია. მან თქვა, რომ ორი-სამი წლის წინათ ამ ხელშეკრულებებს თვალდახუჭული მოაწერდა ხელს, ახლა კი ამდენი პირობის შემდეგ უკვე სხვა პოზიცია აქვს.

დაახლოებით, იმავე ეკონომიკური პრობლემებით ახსნა ხელშეკრულების შეჩერება პრემიერ-მინისტრმა ნიკოლაი აზაროვმა. მისი სიტყვებით, ევროპელებთან შეხვედრებისას ყოველთვის საუბრობდნენ რუსეთის ზეწოლასა და იმ დანაკარგზე, რასაც ქვეყანა ევროპასთან ხელშეკრულების ხელმოწერისას რუსეთის პოზიციის გამო განიცდიდა. აზაროვმა თქვა, რომ ევროპას პრეტენზიას არ უყენებენ, მაგრამ გაჭირვების დროს პარტნორები და მეგობრები ერთმანეთს ეხმარებიან. როგორც პრემიერ დასძენს, ევროკავშირს საბერძნეთის, ესპანეთისა და პორტუგალიის დახმარება 450 მილიარდი ევრო დაუჯდა, უკრაინის დახმარებისთვის საჭირო თანხა კი ბევრად ნაკლებია. ამით აზაროვმა არაპირდაპირ დაადასტურა, დაახლოებით, რა მასშტაბის დახმარების იმედი ჰქონდათ, თუმცა, ეტყობა, არ გაითვალისწინა, რომ მის მიერ ჩამოთვლილი სახელმწიფოები ევროკავშირის და, უფრო მეტიც, ევროზონის წევრები არიან. ამას გარდა, სწორედ ამ კრიზისის შემდეგ არც ევროპას აქვს თავისუფალი მილიარდები.

უკრაინის ევროინტეგრაციის საკითხს იტალიაში ყოფნისას შეეხო რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი. მან კვლავ გაიმეორა რამდენჯერმე ნათქვამი, რომ უკრაინაში ევროპული საქონლის თავისუფლად შესვლის შემდეგ ეს საქონელი ასევე თავისუფლად შევა რუსეთში, უკვე დსთ-ს თავისუფალი სავაჭრო ზონის მეშვეობით, ეს კი რუსეთისთვის პრობლემაა და თავისი ბაზრის დაცვა მოუწევთ. პუტინმა უკრაინელებს ისიც შეახსენა, რომ მათ მსხვილი რუსული ბანკების 30 მილიარდი მართებთ, გაზის ვალიც აქვთ და ესეც მოსაგვარებელია. უკრაინის პრემიერის გარდა, უკვე პუტინიც აცხადებს, რომ სამმხრივი მოლაპარაკებების გარეშე (რაზეც ევროპა არ მიდის) უკრაინის ევროინტეგრაცია სერიოზულ პრობლემებს შექმნის.

ამ კრიზისის ფონზე გერმანულ «დი ველტს" ინტერვიუ მისცა უკრაინის ექს-პრეზიდენტმა ვიქტორ იუშჩენკომ. მისი აზრით, უკრაინასთან ურთიერთობაში ევროპამაც დაუშვა შეცდომები, როდესაც უდავოდ საჭირო რეფორმების პაკეტში ყურადღება გაამახვილა შედარებით მეორეხარისხოვან დეტალებზე და, მათ შორის, ტიმოშენკოს პოლიტიზებულ საკითხზე. იუშჩენკოს აზრით, ამ საკითხის მოგვარება სხვანარად, უკრაინის და ევროკავშირის დაახლოების შემდეგაც შეიძლებოდა. ბევრად უფრო მკაცრი იყო იუშჩენკო რუსეთის მიმართ. ექს-პრეზიდენტი აცხადებს, რომ რუსეთი უკრაინას «ხელგაშლილი" ელოდება, ყოველგვარი პირობები წამოყენების გარეშე, თუმცა მხოლოდ მონობას სთავაზობს. იუშჩენკომ, დაახლოებით, ერთ დონეზე დააყენა ტიმოშენკოს მიერ რუსეთთან გაზის საკითხზე გაფორმებული კაბალური ხელშეკრულება და მოგვიანებით იანუკოვიჩის მიერ ხელმოწერილი «ხარკოვის ხელშეკრულება", რომელმაც რუსეთის ფლოტს ყირიმში ყოფნის ვადა 45 წლით გაუგრძელა.

ახალი წელი მასეო პარკერთან ერთად

იმ შემთხვევაში, თუ ახალი წლის ღამის გატარება არც ოჯახურ გარემოში გსურთ, არც კარის მეზობლის ხმაურიან სუფრაზე და არც თბილისის მერიის მიერ ორგანიზებული ღონისძიებები გხიბლავთ, მაშინ თბილისის ივენთ ჰოლში გირჩევთ წასვლას, სადაც 2014 წელს ლეგენდარულ საქსოფონისტ მასეო პარკერთან ერთად შეხვდებით.

ვინც 2013 წელს ასევე ივენთ ჰოლში შეხვდა, ალბათ დღემდე აქვს გამოყოლილი „ინკოგნიტოს“ მიერ სცენაზე დანთებული ცეცხლის მხურვალება. მომავალ წელს ამ დროს კი სულ სხვა განწყობა გვექნება - მასეო პარკერის განწყობა, რომელიც თბილისში მსუყე პროგრამით, შვიდკაციანი ბენდითა და განსაკუთრებული სტუმრით ჩამოდის. ეს დენის როლინზია, ტრომბონისტი, რომელიც თბილისს შორეულ 2002 წელს თავის ბენდთან ერთად სტუმრობდა (აქვე ლირიკულ გადახვევას გავაკეთებთ და მაშინდელი ფესტივალის სხვა მონაწილეებსაც გავიხსენებთ: ელ ჯერო, ბობ მინცერი, პი ვი ელისი...). ამჯერად კი როლინზი იმ მუსიკოსთან ერთად ჩამოდის, რომელსაც The funkiest living saxophonist ever-ს უწოდებენ და რომელსაც ახლა მხოლოდ ერთი განზრახვა ამოძრავებს - 31 დეკემბერს ყველაზე დაუვიწყარი, გიჟური, შუშხუნა და ხმაურიანი ღამე მოგვიწყოს.

ასეთი განწყობით ჩამოდის დენის როლინზიც და ბენდის დანარჩენი წევრებიც: პიანისტი ბილ ბულვეირი, გიტარისტი ბრუნო სპეიტი, ბასისტი როდნი Skeet კერტისი, დრამერი მარკუს პარკერი და მომღერლები მარტა ჰაი და დარლინ პარკერი.

ასაკის მიუხედავად (ის 70 წლისაა) მასეო პარკერი აქტიურ სასცენო მოღვაწეობას ეწევა. ამჟამად ტურნეში იმყოფება. ნოემბერსა და დეკემბერში ის საფრანგეთის რამდენიმე ქალაქს მოივლის, იანვრიდან ამერიკაში გადაინაცვლებს, თბილისში კი ამ ორ ქვეყანას შორის გზად „შემოირბენს“.

ერთი ასეთი „შემორბენა“ მასეო პარკერს ადრეც ჰქონია - ის 2009 წლის შავი ზღვის ჯაზფესტივალის ჰედლაინერი გახლდათ და მაშინაც დენის როლინზი ახლდა. ეს იყო ალბათ ერთ-ერთი ყველაზე დასამახსოვრებელი და, ამავდროულად, შეშლილი კონცერტი, რომელმაც თითქმის მთლიანად თავსხმა წვიმის ფონზე ჩაიარა. სახეგაბადრული მასეო პარკერი მთელი გულით გვეხვეწებოდა წვიმაში არ ვმდგარიყავით და გვპირდებოდა, რომ კონცერტს გამოდარებისთანავე განაახლებდა, მაგრამ კონცერტის დასაწყისიდანვე ფანკის რიტმებზე მომართული მსმენელის დაყოლიება შეუძლებელი აღმოჩნდა. ჩვენი ასეთი თავდადება მუსიკოსმა ბოლომდე დააფასა და საოცარი კონცერტი ჩაატარა.

ასეთი იქნება 31 დეკემბრის ღამეც, რომელზეც მუსიკოსი ყველა დროის საუკეთესო კომპოზიციებს შეასრულებს. მათ შორის, იმ ჰიტებსაც, რომლებსაც ჯეიმს ბრაუნთან ან „პარლამენტ ფანკადელიკთან“ თანამშრომლობისას ასრულებდა.

მასეო პარკერი საეკლესიო მომღერლების ოჯახში დაიბადა, ერთი ძმა დრამზე უკრავდა, მეორე - ტრომბონზე. ჯეიმს ბრაუნის ბენდს სწორედ დრამერ ძმა მელვინთან ერთად შეუერთდა, რის შესახებაც ჯეიმს ბრაუნი ავტობიოგრაფიაშიც წერდა: „მე მხოლოდ მელვინის აყვანა მინდოდა, მაგრამ მთხოვა, მისი უმცროსი ძმისთვისაც მომესმინა და შანსი მიმეცა“. პარკერებმა ბრაუნთან 60-70-იან წლებში ითანამშრომლეს და რამდენიმე ალბომიც ჩაწერეს, 1975 წელს კი მასეო პარკერი ფრედ უესლისთან და ჯეიმს ბრაუნის ბენდის რამდენიმე წევრთან ერთად ჯორჯ კლინტონის „პარლამენტ ფანკადელიკში“ გადავიდა, თუმცა 80-იანების ბოლოს ის მაინც დაუბრუნდა ბრაუნს. 90-იანი წლებიდან პარკერმა სოლო კარიერა წამოიწყო, პერიოდულად კი პრინცთან, Living Colour-თან, ბრაიან ფერისთან, ბუტსი კოლინზთან, Dave Matthews Band-თან და სხვა მუსიკოსებთან თანამშრომლობდა.

მასეო პარკერის კონცერტს TBC Status გვთავაზობს ისევე, როგორც უკვე ტრადიციად ქცეულ ჯაზსერიასაც, რომელიც 2014 წლის თებერვლიდან დაიწყება და მაისამდე გასტანს. წლევანდელი ჯაზსერია ოთხი კონცერტისგან შედგება: 14 თებერვალს ივენთ ჰოლში ვიბროფონისტ ჯო ლოკის ჯგუფის კონცერტი გაიმართება, რომელიც მომღერალ კენი ვაშინგტონს წარმოგვიდგენს; 13 მარტს ამავე სივრცეში პანამელ პიანისტ დანილო პერეზსა და მის კვარტეტს მოვუსმენთ; 27 აპრილს მსმენელი წლევანდელი შავი ზღვის ჯაზფესტივალის მონაწილე ბასისტ ვიქტორ ვუტენის ბენდს მოუსმენს, ხოლო 17 მაისს 2014 წლის ჯაზსერიას მესაყვირე ტერენს ბლანშარდის კვინტეტი დახურავს.

ფოტოების ავტორი
გიგა გურასაშვილი

ბრიტანული დასი ბათუმში

ბრიტანეთის საბჭოსა და აჭარის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ერთობლივი ძალისხმევის შედეგად 5-7 დეკემბერს ბათუმში ინოვაციური ბრიტანული დასის The Paper Cinema სპექტაკლები გაიმართება.

ბათუმელი მაყურებელი და ქალაქის სტუმრები იხილავენ თანამედროვე, არაორდინალური კომპანიის ფეიფერ სინემასა და ბათერსი არტ ცენტრის ერთობლივი პროექტით კიდევ ერთხელ გაცოცხლებულ „ოდისეას“ ჰომეროსის მარად უკვდავი მემკვიდრეობიდან, გადმოცემულს ლამაზი ილუსტრაციების, ცოცხალი მუსიკის და თოჯინების ოსტატური გამოყენების საშუალებით.

„ოდისეა“ არის კინემატოგრაფიული პროექციისა და გარდასახვის ხელოვნების არაჩვეულებრივი სინთეზი, ვინადიან ქაღალდისგან გამოჭრილი თოჯინებით სავსე ჩემოდანი სცენაზევე გარდაქმნება ცოცხალ პერსონაჟებად და ულამაზეს პეიზაჟებად. ამასთანავე, თქვენს თვალწინ იქმნება მუნჯი კინო, რომლის ილუსტრაციასაც ბრწყინვალე მუსიკოსების მიერ ცოცხლად შესრულებული მუსიკა ახდენს, რომელიც სპექტაკლის ორგანული ნაწილია.

დასი იყენებს ანიმაციის, მუსიკის, კინოსა და თეატრის ენას, რათა მაყურებელს მოუთხროს ისტორიები. კალმითა და მელნით ოსტატურად შესრულებული ილუსტრაციების მანიპულირება ხდება რეალურ დროში - ცოცხლად, ვიდეოკამერის მიერ და პროექცირდება დიდ ეკრანზე. ეს ყოველივე ხდება ცოხცლად შესრულებული მუსიკის თანხლებით.

კომპანია The Paper Cinema 2004 წელს დააარსეს ნიკოლას როულინგმა, იმოჯენ ჩარლსტონმა და კრისტოფერ რიდმა. კომპანია თავისთავად- მხოლოდ მათთვის დამახასიათებელ ორიგინალურ შემოქმედებას აცნობს მაყურებელს როგორც დიდ ბრიტანეთში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც.

კომპანიას არაჩვეულებრივი გამოხმაურება აქვს პრესაშიც. გთავაზობთ რამდენიმე მათგანს:

„უზარმაზარი ოსტატობა... აშკარად ეფექტური“ (TIMES) .

„დახვეწილად შესრულებული სპექტაკლი, რომელიც აუცილებლად აღგაფრთოვანებთ“ (TELEGRAPH).

„ეპიკური, გამომგონებლური თავგადასავალი“ (TIME OUT).

„ჰომეროსის ისტორიის ოსტატური გადამუშავება“ (ლინ გარდნერი, THE GUARDIAN).

„აცოცხლებს ამბავს ისე საინტერესოდ, რომ გახსენედებათ თუ მართლაც რა კარგია ის“ (სალი სკოტი, The Scotsman).

კომპანიის მოწვევა გადაწყდა ბრიტანეთის საბჭოსა და აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ერთობლივი თეატრალური პარტნიორობის პროექტის ფარგლებში, რომლის განხორციელება 2012 წელს დაიწყო ურთიერთშეთანხმების მემორანდუმის გაფორმების საფუძველზე. ორივე მხარე იმედოვნებს, რომ ეს თანამშრომლობა ემსახურება საერთო მიზანს - საქართველოს, კერძოდ აჭარის და დიდი ბრიტანეთის ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების გაცნობას, უშუალო და პირდაპირ თანამშრომლობას კულტურისა და ხელოვნების სფეროში, რაც მთავარია, თეატრალური ხელოვნების განვითარებას და ახალი კოპროდუქციების შექმნას. **24 საათი**



ირაკლი ღარიბაშვილი არ ეთანხმება აზრს, რომ უკრაინის მაგალითმა შესაძლოა, საქართველოზე ნეგატიური გავლენა მოახდინოს

საქართველოსა და უკრაინის შემთხვევები განსხვავებულია, რადგან ჩვენ უფრო ნაკლებად ვართ რუსეთზე დამოკიდებული, ვიდრე უკრაინა, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა „როიტერთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში განაცხადა.

„უკრაინის მიერ მიღებული გადაწყვეტილება სამწუხაროა, მაგრამ უკრაინისა და საქართველოს შემთხვევები განსხვავებულია, რადგან საქართველო ნაკლებად არის დამოკიდებული რუსეთზე, ვიდრე უკრაინა. რუსეთმა შესაძლოა, საქართველოზე ზეწოლისთვის პოლიტიკური და ეკონომიკური ბერკეტები გამოიყენოს, მაგრამ არ ვფიქრობ, რომ ეს სერიოზული იქნება,“ - თქვა ირაკლი ღარიბაშვილმა ინტერვიუში.

პრემიერ-მინისტრმა ასევე აღნიშნა, რომ რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების 20 პროცენტი ოკუპირებულია და საქართველოს რუსეთთან ამ დრომდე აქვს გადაუჭრელი პრობლემები და კონფლიქტები აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის გამო.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ასევე შეეხო ვანო მერაბიშვილის საკითხს და ევროპელი ლიდერების მოწოდებას, რომ ხელისუფლებამ პოლიტიკურ რევანშს არ მიმართოს.

„ვანო მერაბიშვილისა და იულია ტიმოშენკოს საკითხი აბსოლუტურად განსხვავებულია. ჩვენს ზოგიერთ ევროპელ პარტნიორს შესაძლოა, კითხვები ჰქონდეს, მაგრამ ჩვენ ყველას დავარწმუნებთ, რომ მერაბიშვილის წინააღმდეგ სასამართლო აბსოლუტურად გამჭვირვალეა,“ - განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი არ ეთანხმება აზრს, რომ უკრაინის მაგალითმა შესაძლოა, საქართველოზე რამე ნეგატიური გავლენა მოახდინოს. ამის შესახებ ირაკლი ღარიბაშვილმა ჟურნალისტებს სამხედრო ქალაქში ჯარისკაცებისთვის ბინების სიმბოლურად გადაცემის შემდეგ განუცხადა.

„რაც შეეხება უკრაინის მაგალითს და პარალელის გავლებას, რომ შესაძლოა, უკრაინის მაგალითმა რამე ნეგატიური გავლენა მოახდინოს საქართველოზე, ამ აზრს არ ვეთანხმები. მიმაჩნია, რომ ამან შეიძლება, პირიქით, ხელი შეუწყოს პროცესის დაჩქარებას. რაც მთავარია, უკრაინის მაგალითი არ არის შესაფერისი, იქიდან გამომდინარე, რომ საქართველო ნაკლებად დამოკიდებულია რუსეთზე,“ - განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

რაც შეეხება კითხვას, რამდენად ელოდება საქართველოს მთავრობა, რომ ვილნიუსის სამიტის მოახლოებასთან ერთად შესაძლოა, რუსეთის მხრიდან ოკუპირებულ ტერიტორიებთან პროვოკაციები იყოს, ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ საქართველოს ბევრი პროვოკაცია უნახავს.

„ჩვენ ეს რისკები, ეს გამოწვევები ძალიან ფრთხილად და გონივრულად უნდა შევაფასოთ და პროვოკაციებს არ უნდა ავყვეთ. მუსირებს აზრი, რომ შესაძლოა, პროვიკაციების რაოდენობა გაიზარდოს, ამას დრო გვაჩვენებს. ჩვენ ვიქნებით მაქსიმალურად მობილიზებულები იმისთვის, რომ ამ პროვოკაციების პრევენცია დროულად მოვახდინოთ,“ - განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

სოფელ ხელთუბანის მოსახლეობა თანასოფლელ იეღოველებს დაუპირისპირდა

გორის რაიონის სოფელ ხელთუბანში მოსახლეობის ერთი ნაწილი იეღოვას მიმდევრებს დაუპირისპირდა. დაპირისპირების მიზეზი სოფლის ცენტრში, მჭიდრო დასახლების ადგილას, იეღოვას მოწმეთა შეკრებებისთვის განკუთვნილი ნაგებობის მშენებლობა გახდა.

სოფლის მოსახლეობამ პროტესტის ნიშნად ხელმოწერებიც შეაგროვა და ხელისუფლებას მიმართა, თუმცა მშენებლობა გრძელდება.

მართლმადიდებელი მოსახლეობის განცხადებით, ისინი თანასოფლელებს რელიგიური ნიშნით არ უპირისპირდებიან. მათი თქმით, აღნიშნული ადგილი მსგავსი ტიპის ხალხმრავალი შეკრებებისთვის მიზანშეუწონელია.

თავად იეღოვას მიმდევრები თანასოფლელების პროტესტს უსაფუძვლოდ მიიჩნევენ და მშენებლობას აგრძელებენ.

სოფლის მოსახლეობის მართლმადიდებელი ნაწილი აცხადებს, რომ თუ მშენებლობის შეჩერება არ მოხდება, პროტესტის ყველა ფორმას მიმართავენ.

მათთვის, ვინც ასოცირების ხელშეკრულებით გვაშინებს

EPRC
Economic Policy Research Center
ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი

პირველი გვერდიდან

საქართველო ამჟამად, სხვა შეღავათიან რეჟიმებთან ერთად, პრეფერენციათა განზოგადებული სისტემით (GSP+) სარგებლობს. ზოგადად ამ შეღავათის მთავარი იდეაა, განვითარებულმა ქვეყნებმა ხელი შეუწყონ ექსპორტის ზრდას განვითარებადი ქვეყნებიდან. პრეფერენციათა განზოგადებული სისტემის არსი ბენეფიციარი ქვეყნებისთვის დაბალი საიმპორტო ტარიფების დაწესებაა, რაც განვითარებად ქვეყნებს განვითარებული ქვეყნების ბაზრებზე შეღწევას გაუადვილებს. პრეფერენციათა განზოგადებული სისტემა საქართველოს შემდეგმა ქვეყნებმა და ქვეყანათა ჯგუფებმა მიანიჭეს: ევროკავშირი, აშშ, იაპონია, კანადა, შვეიცარია და ნორვეგია. აშშ-ს პრეფერენციული სქემა პროდუქტთა ვრცელ ჩამონათვალს მოიცავს, მათ შორის საქართველოს ყველაზე მნიშვნელოვან საექსპორტო პროდუქტებს, როგორებიცაა კაკალი, ჩირი, მინერალური წყლები, ზოგიერთი სახეობის ღვინო, სპილენძი, ფეროშენადნობები და სხვ.

თუ GSP-ის შემთხვევაში პრეფერენციების სქემა 3,300 დასახელების პროდუქტს მოიცავდა, რომელთა იმპორტი ევროკავშირში საბაჟო ტარიფებისგან თავისუფლდებოდა, GSP+ ფარავს 7,200 დასახელების ქართულ პროდუქტს, რომლებიც შეიძლება, ევროკავშირის ბაზარზე ნულოვანი საბაჟო განაკვეთით მოხვდეს. ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯია საქართველოს ექსპორტის ხელშეწყობის თვალსაზრისით.

მართალია, ამჟამად საქართველო ვერ სარგებლობს ბევრი იმ შეღავათითა და პრეფერენციით, რომლებიც მინიჭებული აქვს, თუმცა პოტენციალი უზარმაზარია და სწორი მიდგომის შემთხვევაში შესაძლებელია, ამ პრეფერენციების გამოყენება ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის.

თუმცა დღეს არც იმის თქმა შეიძლება, რომ საქართველო ამ შესაძლებლობას საერთოდ ვერ იყენებს.

ჯერ კიდევ 2005 წელს, სანამ რუსეთი საქართველოზე ემბარგოს დააწესებდა და საქართველო ჯერ კიდევ დსთ-ს წევრი იყო, საქართველოს ექსპორტი ევროკავშირის ქვეყნებში მნიშვნელოვნად აღემატებოდა მის ექსპორტს რუსეთის ფედერაციაში, რომლის ბაზრის დაკარგვა და ახლა დაბრუნების სურვილი საქართველოში ზოგისთვის ეკონომიკური აღმავლობის ერთადერთი წინაპირობაა.

2005 წელს ევროკავშირის ქვეყნებში საქართველოს ექსპორტი 216 მილიონ აშშ დოლარს შეადგენდა, ხოლო რუსეთში - 153 მილიონ აშშ დოლარს.

დღეს კი ევროკავშირი საქართველოს ერთ-ერთი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია, რომელზეც სავაჭრო ბრუნვის 27 პროცენტი ანუ წელიწადში, საშუალოდ, 2.8 მილიონი აშშ დოლარი მოდის. საშუალო წლიური ექსპორტი 400 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს, რაც საქართველოს მთლიანი ექსპორტის 15-16 პროცენტია. საშუალო წლიური იმპორტი კი 2.4 მილიარდი აშშ დოლარის ტოლია და მთლიანი იმპორტის 29-31 პროცენტს შეადგენს. ევროკავშირში ძირითად საექსპორტო პროდუქტებს შორის არის კაკალი, თხილი, ღვინო, მინერალური წყლები, ალკოჰოლური სასმელები, ხილისა და ბოსტნეულის წვენები, უალკოჰოლო სასმელები, მინერალური სასუქები, ჯარი და სხვა. ამ მონაცემებს ზრდის სერიოზული პერსპექტივა აქვს მას შემდეგ, რაც ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება ძალაში შევა.

თუ საქართველო ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებას ხელს მოაწერს, ქვეყანა შეძლებს, ევროკავშირის ბაზარზე საქონლისა და მომსახურების ექსპორტის განხორციელებას და სავაჭრო მექანიზმების განვითარებას.

როგორც ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილი, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება უზრუნველყოფს ვაჭრობის შეძლებისდაგვარად სრულ ლიბერალიზებას.

გარდა ამისა, ეს ბევრად მეტია, ვიდრე თავისუფალი ვაჭრობის თემაზე ჩვეულებრივი ხელშეკრულება; იგი ეხება არა მხოლოდ ვაჭრობის ლიბერალიზებას ყველა სფეროში, არამედ უფრო პარტნიორი ქვეყნების სავაჭრო კანონმდებლობის ჰარმონიზებას ევროკავშირის სტანდარტებთან. ეს მოიცავს ისეთი რეგულაციების გადმოღებას, რომლებიც მიმართულია სტაბილური და ზრდადი ორიენტირებული ეკონომიკური პოლიტიკის ჩარჩოს უზრუნველყოფისკენ, რაც ქვეყნის კონკურენტუნარიანობას გაზრდის.

კონკურენტუნარიანობის ზრდა იმას ნიშნავს, რომ საქართველო უფრო კონკურენტუნარიანი გახდება იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც მსოფლიო ბაზარზე არსებული საინვესტიციო რესურსის მოსაპოვებლად იბრძვიან.

მოკლედ და გასაგებად რომ ვთქვათ, ეს ხელშეკრულება გულისხმობს საქართველოში ისეთი ეკონომიკური გარემოს ფორმირებას, რომელიც ქვეყანას ინვესტიციების მიღებაში დაეხმარება, მათ შორის - ევროკავშირის ქვეყნებიდანაც. ეს ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკის და ინფრასტრუქტურის მოდერნიზებას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას.

უმუშევრობის პრობლემის დაძლევას წაადგება ის, რომ ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგად საქართველოში შეიქმნება თავისუფალი, სტაბილური და პროგნოზირებადი გარემო, რაც ევროპის ქვეყნებიდან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს გაზრდის. ევროპის საერთო ეკონომიკურ სივრცეში შესვლით ქართული პროდუქცია იმავე პირობებით ისარგებლებს, როგორითაც ადგილობრივი პროდუქტი სარგებლობს.

მართალია, ეს რომ მოხდეს, ქართულმა პროდუქტმა მკაცრი ევროპული მოთხოვნები უნდა დააკმაყოფილოს, რაც რთული და ხანგრძლივი პროცესია, მაგრამ საბოლოოდ ეს ქვეყანაში წარმოებული პროდუქციის ხარისხს გააუმჯობესებს და შესაბამისად, ექსპორტის პოტენციალს გაზრდის. გარდა ამისა, საქართველო სურსათის უვნებლობისა და მომხმარებლის დაცვის ასპექტებზე მეტად იქნება ფოკუსირებული.

რატომ არის ევროპული ბაზარი საინტერესო საქართველოსთვის? პირველ რიგში, იმიტომ, რომ მას, პოსტსაბჭოთა სივრცისგან განსხვავებით, ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მყიდველობითი უნარის მქონე მომხმარებელი ჰყავს. ზოგადად ევროპულ ბაზარს 500 მილიონი მომხმარებელი ჰყავს, რომელთა საშუალო წლიური შემოსავალი 39,000 აშშ დოლარია, და 16 ტრილიონ ევროზე მაღალი მთლიანი შიდა პროდუქტი აქვს.

საპროგნოზო გათვლებით, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების ხელმოწერის შემთხვევაში, საქართველოს ექსპორტი ევროკავშირში, მინიმუმ, 12 პროცენტით გაიზრდება, ხოლო ევროკავშირიდან იმპორტი - 7.5 პროცენტით. გრძელვადიან პერსპექტივაში, საქართველოს მშპ 4.3 პროცენტით ანუ 292 მილიონი ევროთი მოიმატებს.

საინტერესოა, რომ ეს არ ეხება მხოლოდ საქართველოს. ევროკავშირთან თავისუფალი სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობები ეკონომიკურად რომ მომგებიანია, ამას შემდეგი კვლევებიც ცხადყოფს:

ზოგადი წონასწორობის გამოთვლით მოდელებზე (CGE) დაყრდნობით, სხვადასხვა ქვეყნებში ჩატარდა სხვადასხვა კვლევები იმ ეფექტების შესაფასებლად და შესადარებლად, რასაც ქვეყნების ეკონომიკებზე, ერთი მხრივ, ევრაზიულ საბაჟო კავშირში გაერთიანება და, მეორე მხრივ, ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების განხორციელება მოახდენდა. მოდელირება ჩატარდა უკრაინის ეკონომიკის მაგალითზე ამ ქვეყნის საბაჟო კავშირში გაერთიანების და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების განხორციელების შემთხვევებში.

კვლევების თანახმად, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების შემთხვევაში უკრაინის მშპ 11.8 პროცენტით გაიზრდებოდა, ხოლო საბაჟო კავშირში გაწევრიანების შემთხვევაში - მშპ 3.7 პროცენტით შემცირდება (!). ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება მკვეთრად გაზრდის ვაჭრობას, როგორც ექსპორტის, ასევე იმპორტის თვალსაზრისით, ხოლო საბაჟო კავშირის წევრობა მთლიან სავაჭრო ბრუნვას შეამცირებს. ყველაზე დიდი ეფექტი ექსპორტის კუთხით იქნება - საბაჟო კავშირის წევრობის შემთხვევაში უკრაინული ექსპორტის გრძელვადიანი ზრდა, ამ კავშირის ყველა ქვეყანაში ექსპორტის პირობებში, 17.9 პროცენტის ტოლია, ხოლო ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების შემთხვევაში - 46.1 პროცენტი ანუ სამჯერ მეტი.

უკრაინის მაგალითზე ჩატარებული ეს კვლევა საკმაოდ ნათელ პასუხს იძლევა იმაზე, რომელი ეკონომიკური ორიენტაცია (პრო-ევროპული თუ პრო-რუსული) უფრო მეტ ეკონომიკურ (და არა მხოლოდ პოლიტიკურ) ეფექტს იძლევა ქვეყნისათვის.

ამას გარდა, ამ თემაზე საუბრისას აღსანიშნავია კიდევ ერთი დეტალი - ევროკავშირი მნიშვნელოვან დახმარებას უწევს ქვეყნებს იმ რეფორმების განხორციელებაში, რომლებიც დაკავშირებულია ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებასთან. 2011-2013 წლებში საქართველომ 31 მილიონი ევროს დახმარება მიიღო და მომავალშიც მიიღებს მნიშვნელოვან დახმარებას იმ რეფორმების გასატარებლად, რომლებიც 2014-2020 წლებში ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების მოთხოვნების შესრულებისკენ არის მიმართული.

ყველაფერი ამის შედეგი კი საქართველოში ევროპული ეკონომიკური მოდელის დამკვიდრება უნდა გახდეს - იმ მოდელის, რომელიც ამ ბოლო დროს შესაძლოა, გარკვეულ პრობლემებს გაინცდის, თუმცა დღემდე მსოფლიოში სოციალური საფრთხეების ყველაზე უკეთ გამთვალისწინებელი ეკონომიკური მოდელია.

საქართველოს პრეზიდენტი პატიმრებს, სავარაუდოდ, წინასაახალწლოდ შეიწყალებს

პატიმართა შეწყალების კომისიის თავმჯდომარემ ალეკო ელისაშვილმა გუშინ „პირველის“ პრესკლუბში ჟურნალისტების შეკითხვებს უპასუხა.

ალეკო ელისაშვილის განცხადებით, პატიმართა შეწყალების კომისიის თავმჯდომარისა და წევრთა ობიექტურობა დიდად არის დამოკიდებული შეწყალების კომიისის დებულებასა და მის კრიტერიუმებზე. დებულებისა და კრიტერიუმების დახვეწა პირველი შეწყალებისთვის არ მოხერხდება და პატიმართა განცხადებები ძველი დებულებით გადაიხედება.

პარალელურად, კომისიის წევრები დებულების კრიტერიუმების შეცვლაზეც მუშაობენ. მისივე თქმით, დებულებაში არის ისეთი მუხლი, რომელიც ყველა კრიტერიუმს გამორიცხავს და აბათილებს.

ელისაშვილმა საუბრისას ასევე აღნიშნა, რომ დღეისთვის კომისიაში პატიმართა 600 განაცხადია შესული, მათგან 150 განაცხადი კრიტერიუმებს აკმაყოფილებს. კომისიაში განაცხადების მიღება კვლავ გაგრძელდება. შეწყალების კომისიის პირველი გაცნობითი სხდომა 29 ნოემბერს, 11:00 საათზე, პრეზიდენტის ავლაბრის რეზიდენციაში გაიმართება.

ელისაშვილის თქმით, პატიმრები განთავისუფლებას 23 ნოემბრისთვის ელოდებოდნენ, თუმცა ეს პროცესი პოლიტიკური ცვლილებების გამო გადაიდო.

მიხეილ გაბრიჩიძე და ფოთის ამბები

ზურა თალაკვაძე

ფოთის საკალათბურთო დარბაზში

მიხეილ გაბრიჩიძემ თავისი ტურნეს მეორე ეტაპი დაასრულა. ქართული კალათბურთი არა მხოლოდ საპრეზიდენტო საარჩევნო ამბებია. ქართულ კალათბურთში ფოთსაც თავისი პატარა უბანი აქვს და გაბრიჩიძემ პატარა, კოხტა დარბაზი და ძალიან მონდომებული ბავშვები ნახა. ფოთში კალათბურთს როლანდ გარუჩავა უვლის. თბილისის «დინამოს» ყოფილი მოთამაშე, რომლის კარიერა მძიმე ტრავმის გამო დასრულდა. ფოთში გარუჩავა ლეგენდაა, რომელიც პატარებს უვლის და ბევრ რამეს თავისი ხელით აკეთებს. პრეზიდენტობის კანდიდატი და გარუჩავა საკალათბურთო დარბაზში შეხვდნენ ერთმანეთს.

დარბაზში ბევრი რამ შესაკეთებელია და უფრო მეტი გაკეთებულია. პატარები რამდენიმე მწვრთნელის ზედამხედველობით ვარჯიშობენ და ძალიან მონდომებულები არიან. გაირბენენ, გააკეთებენ ერთ ილეთს, ისვრიან ბურთს, ჩააგდებენ, ვერ ჩააგდებენ და შემდეგ წრეზე მაინც კმაყოფილები მიდიან. დარბაზში ჟრიამული იყო და იქ ყოფნამ სასიამოვნო ემოციები დაგვიტოვა.

ფოთში მთელი კალათბურთი როლანდ გარუჩავაა. კაცი, რომელსაც ძალიან უყვარს თავისი საქმე და კაცი, რომელიც ამ საქმით არ იღლება. ცდილობს, პატარებს აუცილებელი გაკვეთილები ჩაუტაროს, თავისი გამოცდილება მისცეს. ვეტერანი დღესაც ისეთივე მონდომებულია, როგორც ადრე, «დინამოს» ღირსებას რომ იცავდა. ეს ძალიან ადრე იყო და გარუჩავა არ შეცვლილა. ალბათ, არც შეიცვლება. ერთგული ხალხი არ იცვლება. მიხეილ გაბრიჩიძემ ეს დაინახა. გაბრიჩიძე და გარუჩავა დიდი ხნის მეგობრები არიან. საპრეზიდენტო კამპანიის დროს იქ მეგობრობა იყო.

მიხეილ გაბრიჩიძე: «როლანდ გარუჩავა არაჩვეულებრივი ადამიანია. კალათბურთის ერთგული კაცი, რომელმაც ფოთში სპორტის ამ სახეობის პოპულარიზაციისთვის მაქსიმუმი გააკეთა და ალბათ, მაქსიმუმს გააკეთებს. შეხედეთ ამ დარბაზს... ეს ყველაფერი ამ კაცმა თავისი ხელებით შექმნა და არ აპირებს მიღწეულით დაკმაყოფილებას. როლანდ გარუჩავას იცნობენ, როლანდ გარუჩავა უყვართ და როლანდ გარუჩავა ფოთში შეუცვლელი ადამიანია. ის, პირველ რიგში, ქართული კალათბურთის პრესტიჟს უფრთხილდება და მომავალს ზრდის. ჩემთვის ეს სამაგალითოა და ყველანაირად ვეცდები, ამ კაცს, ისევე როგორც მთლიანად ქალაქს, ყველა ბავშვს, ვინც კალათბურთზე დადის, კალათბურთის სიყვარული და პატივისცემა გავუზარდო. ისინი ამას იმსახურებენ და კალათბურთიც ამას იმსახურებს. ფოთში ჩემი ჩასვლით კმაყოფილი კი არა, ბედნიერი ვარ. ვნახე მეგობარი, რომელიც მიყვარს და რომელსაც ყველაფერში ვენდობი. ფოთში კალათბურთი დაბრუნდება.“

როლანდ გარუჩავა: «ჩემთვის მთავარია, რომ ქართული კალათბურთის სათავეში იყოს პატიოსანი, სუფთა, კალათბურთზე შეყვარებული ადამიანი, რომელიც საქმეს გააკეთებს, ბავშვებს მიხედავს, მწვრთნელებს საუკეთესო პირობებს შეუქმნის. ფოთში კალათბურთი უყვართ, ფოთში კალათბურთი დღესაც პოპულარულია და ფოთში კალათბურთი უფრო უნდა გაიშალოს. მიხეილ გაბრიჩიძე დიდი ხნის წინ გავიცანი, დღემდე ვმეგობრობთ და ბედნიერი ვიქნები, თუ ის თავის თავზე მეტ პასუხისმგებლობას აიღებს. მჯერა მისი შრომისმოყვარეობის, მისი ერთგულების და ყველაფერს საუკეთესოს ვუსურვებ. ჩვენი მხრიდან რაც გასაკეთებელი იქნება, გავაკეთებთ. ვგულისხმობ იმას, რომ ფოთში კალათბურთი ყოველთვის იქნება. ვავარჯიშებთ ოთხ ასაკობრივ ჯგუფს, გავედით ტურნირებზე, გვაქვს წარმატებები და ვცდილობთ, პატარებს სწორი საკალათბურთო განათლება მივცეთ. ეს იმ პროცესის გაგრძელებაა, რომელიც დიდი ხნის წინ დაიწყო.“

ფოთის ამბები დაიხურა და მიხეილ გაბრიჩიძე უკვე ბათუმისთვის ემზადებოდა. თავის გუნდთან ერთად, რომელიც, ისევე როგორც გაბრიჩიძე, ცდილობს კალათბურთში საკალათბურთო ტერმინოლოგიით ისაუბროს. ისაუბროს კალათბურთზე და არა სხვა, უმნიშვნელო ნიუანსებზე. ფოთში ძალიან საინტერესო შეხვედრა იყო.

მიხეილ გაბრიჩიძემ თავისი ტურნეს მეორე ეტაპი დაასრულა. დღეს მესამე შეხვედრაა დაგეგმილი.

სფფ-ის განცხადება

საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის - თემურ ქეცბაიასა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას შორის არსებული ხელშეკრულების პირობები, უკანასკნელი დღეების განმავლობაში საზოგადოებისა და მედიის განსჯის საგნად იქცა.

ვინაიდან, ხელშეკრულების ვადებმა გარკვეული დაბნეულობა გამოიწვია, საჭიროდ მივიჩნიეთ გავაკეთოთ განმარტება და ყველა დაინტერესებული პირისათვის გასაგები გავხადოთ კონტრაქტის სადაო პუნქტები.

თემურ ქეცბაიას და სფფ-ის მოქმედი ხელშეკრულება 2011 წლის 12 სექტემბრიდან 2015 წლის 12 სექტემბრამდე აკავშირებს. რაც გულისხმობს მწვრთნელის მუშაობის 4 წელს.

რაც შეეხება აქამდე გავრცელებულ ინფორმაციას - ხელშეკრულების 2+2 წლიანი ვარიანტის შესახებ, ის ხელშეკრულების გაფორმების დღიდან განმარტებული იყო არა როგორც ხელშეკრულების პირობა, არამედ, როგორც ეროვნული ნაკრების სამწვრთნელო შტაბის სამუშაო გეგმა.

აქვე, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის იურიდიული სამსახური ოფიციალურად განმარტავს: »კონტრაქტის გაფორმების დღიდან - დღემდე, მასში აღნიშნული ვადები უცვლელია და არანაირი ახალი კონტრაქტი ან რაიმე სახის შეთანხმება თემურ ქეცბაიასთან არ გაფორმებულა. კონტრაქტი 4 წლიანია და გრძელდება 2015 წლის 12 სექტემბრამდე.“

სამინისტროში სამბისტებს უმასპინძლეს

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ლევან ყიფიანმა სამინისტროში სამბოს ფედერაციის ხელმძღვანელებსა და საქართველოს ნაკრების წევრებს უმასპინძლა და მსოფლიო ჩემპიონატზე მოპოვებული წარმატება მიულოცა.

საქართველოს სამბოს ეროვნული ნაკრების მოჭიდავეები წარმატებით გამოვიდნენ რუსეთის ქალაქ სანკტ-პეტერბურგში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე.

ქართველმა სამბისტებმა 2 ოქროს, 1 ვერცხლის, 3 ბრინჯაოს და გუნდური ვერცხლის მედალი მოიპოვეს.

მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ ვახტანგ ჩიდრაშვილი (57 კგ.) და ლევან ნახუცრიშვილი (68 კგ.), ლაშა გურულმა (100 კგ.) ფინალური შეხვედრა წააგო და ვერცხლის მედალს დასჯერდა, ბრინჯაოს მედლები კი მოიპოვეს კახა მამულაშვილმა (74 კგ.), ნოდარ მეტრეველმა (მძიმე წონა) და ირინე ლეონიძემ (+80 კგ.).

მსოფლიო პირველობაზე მთავარი მწვრთნელის ჯონდო მუზაშვილის ხელმძღვანელობით საქართველოს ნაკრები მამაკაცთა შორის სპორტულ სამბოში ცხრა, საბრძოლო სამბოში ორი და ქალთა შორის სამი სპორტსმენით იყო წარმოდგენილი.

საქართველოს სამბოს ფედერაციის პრეზიდენტმა სოსო ლიპარტელიანმა დამსწრეთ ერთი საინტერესო ინფორმაციაც მიაწოდა. სამბოს საერთაშორისო ფედერაცია აქტიურად ჩაერთო დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლაში და სპეციალური სამედიცინო და ანტიდოპინგური კომისია შექმნა, რომლის ხელმძღვანელად საქართველოს ოლიმპიური ნაკრების მთავარი ექიმი ზურაბ კახაბრიშვილი დაინიშნა.

ფაჩულიას გუნდი უკან იხევს

„მილუოკი ბაქსმა“, რომლის ღირსებას ზაზა ფაჩულია იცავს, ამერიკის ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში ზედიზედ მე-9 მატჩი წააგო. „ირმები“ დეტროიტში „პისტონსს“ შეხვდნენ და 19 ქულით დამარცხდნენ -94:113.

ტრადიციულად, სასტარტო ხუთეულში ითამაშა ქართველმა ცენტრმა, რომელმაც მოედანზე სულ 17:25 წუთი გაატარა. ფაჩულიამ 8 ქულა, 1 მოხსნა, 2 პასი და 1 ჩაჭრა მოაგროვა, ბურთი კი ერთხელ დაკარგა. ზაზამ 3-დან 2 ორქულიანი და 4-დან 4 საჯარიმო ჩააგდო.

მილუოკელთა შორის 15 ქულით საუკეთესო იყო ჯონ ჰენსონი, 14-14 ქულა კი კრის მიდლტონისა და გარი ნილის ანგარიშზეა. რაც შეეხება დეტროიტელებს, 7 მოთამაშე 10-ქულიან ზღვარს გადასცდა, რომელთა შორის ყველაზე მეტი - 17 ქულა, როდნი სტაკმა დააგროვა.

„მილუოკის“ 2 მოგება და 11 მარცხი აქვს, რაც აღმოსავლეთ კონფერენციაში ბოლო ადგილის ტოლფასია. ფაჩულიას გუნდი მომდევნო მატჩს 27 ნოემბერს შინაურ არენაზე „ვაშინგტონთან“ გამართავს.

თბილისი კარატეში მსოფლიო მაკაბის თასისთვის ემზადება

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში, მინისტრი ლევან ყიფიანი WORLD MACCABI CUP 2014-ის მზადების ფარგლებში საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფ დელეგაციის წევრებს შეხვდა.

შეხვედრას მინისტრ ლევან ყიფიანთან ერთად, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრი სოზარ სუბარი, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი დავით ნარმანია და სხვა ოფიციალური პირები ესწრებოდნენ.

მინისტრებმა, სპორტული რადიო «ჯაკოს“ დამფუძნებელ ჯამლეტ ხუხაშვილთან და კარატეს ფედერაციის პრეზიდენტ კახა ბასილიასთან ერთად, ისრაელიდან მსოფლიოს ქართველ-ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტ გაბრიელ მირელაშვილს, ისრაელის კარატეს ფედერაციის პრეზიდენტს გაბი მიხეილის და ასევე ისრაელის სამთავრობო 4 კაციან დელეგაციას და შეხვედრაზე მოწვეულ სტუმრებს უმასპინძლეს. სამინისტროში ვიზიტის შემდეგ, ოფიციალური დელეგაცია ბიძინა ივანიშვილსაც შეხვდა.

მსოფლიო მაკაბის თასი კარატეში გაიმართება 2014 წლის 18-19 ოქტომბერს თბილისში. ტურნირზე მონაწილეობას მიიღებს 55 ქვეყნის ნაკრები გუნდი. ორგანიზატორები არიან მსოფლიოს მაკაბის კავშირი, მსოფლიოს კარატეს ფედერაცია, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო და თბილისის მერია.

msy.gov.ge

17 და 19-წლამდელები ელიტრაუნდში მეტოქეებს ელიან

პირველი გვერდიდან

ელიტრაუნდში 19-წლამდელებს გერმანიასთან შეხვედრა არ სურთ

«ძალიან გვინდა და ყველაფერს გავაკეთებთ, რომ 19-წლამდელთა ელიტრაუნდს თბილისში ვუმასპინძლოთ. ეს საკითხი მონაწილე ქვეყნებს შორის ურთიერთშეთანხმებასა და მოლაპარაკებაზეა დამოკიდებული. თუმცა, ვიმეორებ, ძალას არ დავიშურებთ, რომ ჩვენმა ბიჭებმა შინ ითამაშონ და გაახარონ ქართველი გულშემატკივარი“, - შვეიცარიაში გამგზავრების წინ განაცხადა სფფ-ის პრეზიდენტმა ზვიად სიჭინავამ.

19-წლამდე ასაკში საქმე მართლაც საამაყოდ გვაქვს. ვასილ მაისურაძის ნაკრები პირველ კალათაშია განთესილი და საკვალიფიკაციო ეტაპის შემდეგ ამ ასაკში ნაჩვენები შედეგებით ევროპულ რეიტინგში მეოთხეა.

19-წლამდე ასაკში ყველაზე შედეგიანი და წარმატებული ქვეყანა ესპანეთია - ის ევროპის ექვსგზის ჩემპიონია. მოქმედი ჩემპიონი კი სერბეთია, რომელმაც ივლისში, ლიტვის ევროპის ჩემპიონატის ფინალში, საფრანგეთი დაამარცხა.

რაც შეეხება წილისყრას, საკვალიფიკაციო ეტაპიდან გასული 28 გუნდი 4 კალათაშია გადანაწილებული, საიდანაც ელიტრაუნდისთვის 7 ჯგუფი შეიქმნება. ელიტრაუნდში საკვალიფიკაციო ეტაპის მონაწილე გუნდების გზები აღარ გადაიკვეთება. ასე რომ, უელსის ნაკრები ჩვენი მეტოქე აღარ იქნება.

თითოეული ჯგუფის მასპინძელი ქვეყანა წილისყრის შემდეგ გაირკვევა, როცა ჯგუფის მონაწილე ქვეყნების წარმომადგენლები სამუშაო შეხვედრაზე მოლაპარაკებათა მაგიდას მიუსხდებიან.

19-წლამდელთა საგაისო ევროპის ჩემპიონატის მასპინძელია უნგრეთი (19-31 ივლისი). უნგრეთის ნაკრები, როგორც მასპინძელი, მერვე გუნდი იქნება, რომელიც ელიტრაუნდიდან გასულ შვიდ გუნდს შეუერთდება.

კენჭისყრის შედეგებს მოუთმენლად ელიან საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების წევრები.

„პირველ კალათაში მოხვედრით ძალიან გახარებული და ამაყი ვარ. ყველას ვულოცავ ამ წარმატებას, - ამბობს ნაკრების წევრი ოთარ კაკაბაძე. - რეიტინგში ღირსეული ადგილი გვიკავია. თუმცა, ამ უპირატესობას გამოყენება სჭირდება და ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ჯგუფში პირველ ადგილზე გავიდეთ და ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოვხვდეთ. პირადად მე ჯგუფში არ ვისურვებდი გერმანიის ნაკრებს, მაგრამ უკვე ისეთი გამოცდილება დაგვიგროვდა, რომ გერმანიასაც არ შევუშინდებით, მასთანაც შევეცდებით ჩვენი ძალის დამტკიცებას.“ გერმანიასთან შეხვედრა არ სურს ნიკა ჭანტურიასაც: »ძალიან სასიამოვნოა, რომ საქართველო პირველ კალათაშია. ერთი სული გვაქვს გავიგოთ, ვინ იქნებიან ჩვენი მეტოქეები ელიტრაუნდში. მეორე კალათიდან მეტოქედ არ ვისურვებდი გერმანიას, მაგრამ თუ მაინც ასე მოხდა, ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ევროპის ჩემპიონატზე ჩვენ გავიდეთ. საქართველოს ნაკრებს ყველა გუნდთან აქვს შანსი, რომელიც აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ.“

დღევანდელი წილისყრა თბილისის დროით 14:30 წუთიდან დაიწყება. თავდაპირველად 17-წლამდელთა ნაკრების მეტოქეთა ვინაობას შევიტყობთ (17-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატს 2014 წლის 9-21 მაისს მალტა მასპინძლობს), მერე კი 19-წლამდელთა ჯერი დადგება.

ორივე ასაკის ელიტრაუნდისთვის ფორმულა ერთნაირია - 7 ჯგუფიდან ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ჯგუფის გამარჯვებულები და მასპინძელი ქვეყნის ნაკრებები ითამაშებენ.

17-წლამდელთა განთესვა:

I კალათა - გერმანია, ინგლისი, ჰოლანდია, პოლონეთი, ესპანეთი, პორტუგალია, რუმინეთი;

II კალათა - სერბეთი, შვეიცარია, საფრანგეთი, იტალია, ისლანდია, შოტლანდია, თურქეთი;

III კალათა - საბერძნეთი, ბელგია, **საქართველო**, ჩეხეთი, ლატვია, რუსეთი (მოქმედი ჩემპიონი), ავსტრია;

IV კალათა - ირლანდია, უელსი, ნორვეგია, შვედეთი, ბოსნია, ალბანეთი, უკრაინა.

19-წლამდელთა განთესვა:

I კალათა - ესპანეთი, პორტუგალია, ჩეხეთი, **საქართველო**, სერბეთი (მოქმედი ჩემპიონი), რუსეთი, ინგლისი;

II კალათა - გერმანია, უკრაინა, ბელგია, ჩეხეთი, ისრაელი, ავსტრია, შვედეთი;

III კალათა - ნორვეგია, მონტენეგრო, შვეიცარია, იტალია, თურქეთი, დანია, საბერძნეთი;

IV კალათა - ბულგარეთი, შოტლანდია, რუმინეთი, კვიპროსი, უელსი, ლიტვა, ისლანდია.